ათასწლეულის განვითარების მიზნები საქართველოში

2014

ათასწლეულის განვითარების მიზნები საქართველოში

ეროვნული ანგარიში

2014 წელი

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია საქართველოს
მთავრობის მიერ გაეროს საქართველოს ოფისის მხარდაჭერით

სარჩევი

წინასიტყვაობა 9
ძირითადი შედეგები 12
შესავალი 16
ეროვნული კონტექსტი 20
ქვეყნის თაობაზე ინფორმაციის
მოკლე მიმოხილვა 20
ქვეყნის მიერ ადამიანური განვითარების
სფეროში აღებული ვალდებულებები 20
ბოლო პერიოდში მომხდარი
პოლიტიკური მოვლენები 21
ეკონომიკური კონტექსტი 22
ათასწლეულის განვითარების
მიზნების ანალიზი 23
MDG 1. უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა 23
1.1. ამოცანა 1
2015 წლისთვის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები
მოსახლეობის წილის განახევრება 23
1.2. ამოცანა 2
2015 წლისთვის იმ ადამიანების წილის განახევრება,
რომელთა ორგანიზმსაც საკვები აკლია 26
1.3. ამოცანა 3
იძულებით გადაადგილებული პირებისა და
კონფლიქტებისა და ბუნებრივი კატასტროფებისგან
დაზარალებული პირების სოციალურ-ეკონომიკური
რეაბილიტაცია და სამოქალაქო ინტეგრაცია 27
MDG 2. საქართველოს განათლების სისტემის
განვითარებული ქვეყნების განათლების
სისტემებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა
ხარისხისა და ინსტიტუციონალური
მოწყობის გაუმჯობესების გზით 30
2.1. ამოცანა 4
სასკოლო განათლების 12-წლიან ციკლზე გადაყვანა
და სასკოლო განათლების ხარისხის შეფასების
საერთაშორისო სისტემებში მონაწილეობის მიღება 30
2.2. ამოცანა 5
მესამე საფეხურის საგანმანათლებლო დაწესებულებების
აკრედიტაციის სისტემის დანერგვა; თანამედროვე
მესამე საფეხურის საგანმანათლებლო სისტემებთან
ინსტიტუციური შესაბამისობის უზრუნველყოფა 31
2.3. ამოცანა 6
პროფესიული განათლების სისტემის შრომის ბაზარზე
ორიენტირებულ სისტემად გარდაქმნა; პროფესიული
განათლების სისტემაში კერძო სექტორის განვითარების
ინსტიტუციური ხელშეწყობის სისტემის ჩამოყალიბება 32
2.4. ამოცანა 7
ინკლუზიური და ინტეგრირებული საგანმანათლებლო
პროგრამების ეფექტური ფუნქციონირების
უზრუნველყოფა; ინკლუზიური განათლების პრინციპების
ეროვნულ სასწავლო პროგრამებში ინტეგრირება 33
MDG 3. გენდერული თანასწორობის და ქალთა
უფლებამოსილების გაზრდის ხელშეწყობა 34
3.1. ამოცანა 8
დასაქმების სფეროში გენდერული თანასწორობის
უზრუნველყოფა 27
3.2. ამოცანა 9
პოლიტიკურ სფეროში და მენეჯმენტის ყველა დონეზე
ქალების მონაწილეობის უზრუნველყოფა 37
MDG 4. ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება 38
4.1. ამოცანა 10
ხუთ წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის
მაჩვენებლის ორი მესამედით შემცირება
2000-დან 2015 წლამდე პერიოდში 38
MDG 5. დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება 41
5.1. ამოცანა 11
დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლის სამი მეოთხედით
შემცირება 2000-დან 2015 წლამდე პერიოდში 41
MDG 6. აიდ/შიდსთან, მალარიასთან და სხვა
დაავადეებებთან ბრძოლა 44
6.1. ამოცანა 12
აიდ/შიდსის გავრცელების შეჩერება და ავადობის
შემცირების ტენდენციის მიღწევა 2015 წლისთვის..... 44
6.2. ამოცანა 13
მალარიის და სხვა დაავადებების გავრცელების
შეჩერება და ავადობის შემცირების ტენდენციის
მიღწევა 2015 წლისთვის 45
MDG 7. ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფა 47
7.1. ამოცანა 14
მდგრადი განვითარების პრინციპების
ინტეგრირება ქვეყნის პოლიტიკასა და
პროგრამებში და ბუნებრივი რესურსების შემცირების
(დეგრადაციის) ტენდენციის შეჩერება 47
7.2. ამოცანა 15
იმ მოსახლეობის წილის განახევრება, ვისაც
სტაბილურად არ მიუწვდება ხელი
ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო წყალზე 50
7.3. ამოცანა 16
საბინაო სექტორის ჰარმონიზაცია საერთაშორისო
სტანდარტებთან, მათ შორის სოციალური
საცხოვრებლის კომპონენტის დანერგვა 51
MDG 8. გლობალური პარტნიორობა
განვითარებისთვის 52
8.1. ამოცანა 17
ღია, წესებზე დაფუძნებული, პროგნოზირებადი
და არადისკრიმინაციული სავაჭრო და
საფინანსო სისტემის ჩამოყალიბება 52
8.2. ამოცანა 18
ვალთან დაკავშირებული პრობლემების
თანმიმდევრული გადაჭრა ეროვნულ და
საერთაშორისო დონეზე შესაბამისი ზომების
გატარების გზით, რათა შესაძლებელი გახდეს
ვალთან დაკავშირებული საკითხების გრძელვადიან
პერსპექტივაში მდგრადად მოგვარება 56
8.3. ამოცანა 19
ქვეყნის მასშტაბით საინფორმაციო და საკომუნიკაციო
ტექნოლოგიების მისაწვდომობის გაუმჯობესება,
ქალაქებსა და რაიონებს შორის ციფრული
უთანასწორობის მინიმალიზაცია 56

ცხრილების სარჩევი

ცხრილი 1: საბაზისო დემოგრაფიული მონაცემები 20
ცხრილი 2: უმუშევრობა და დასაქმება 24
ცხრილი 3: უმუშევრობის მაჩვენებლები ასაკობრივი ჯგუფების ჭრილში 25
ცხრილი 4: დასაქმების თვალსაზრისით არსებული ტენდენციები საქართველოში, 2000-2012 25
ცხრილი 5: 5 წლამდე ასაკის წონანაკლული ბავშვების პრევალენტობა (%) 26
ცხრილი 6: დასაქმებულების საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გენდერულ ჭრილში 36
ცხრილი 7: 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა, 1000 ცოცხალშობილზე დემოგრაფიული, ჯანდაცვის და შიდამეურნეობების კვლევის სტატისტიკური მონაცემების შედარება 39
ცხრილი 8: დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100,000 ცოცხალ შობილზე 2000-2012 41
ცხრილი 9: მშობიარობების წილი, რომლებიც პროფესიონალი ჯანდაცვის პერსონალის მიერ იყო მიღებული 42
ცხრილი 10: ოჯახის დაგეგმვის სფეროში მომსახურეობებზე არსებული დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა 43
ცხრილი 11: ტუბერკულოზის ინციდენტობა, პრევალენტობა და სიკვდილიანობა 100000 მოსახლეზე 46
ცხრილი 12: ოზონის გამომფიტველი სუბსტანციების (ODS) მოხმარება 48
ცხრილი 13: დაცული ტერიტორიების მიერ დაკავებული ფართობი 2005-2012 წლების პერიოდში 49
ცხრილი 14: საქართველოს საგარეო ვაჭრობა 54
ცხრილი 15: საქართველოს ექსპორტი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით 55
ცხრილი 16: საქართველოს იმპორტი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით 55
ცხრილი 17: საგარეო ვალი 56
ცხრილი 18: გაეროს ელექტრონული მმართველობის კვლევა, 2014 56
ცხრილი 19: ICT რეიტინგი 58

დიაგრამების სარჩევი

დიაგრამა 1: ეკონომიკური თავისუფლების თვალსაზრისით არსებული ტენდენცია 21
დიაგრამა 2: ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს დინამიკა ... 22
დიაგრამა 3: მსოფლიო ბანკის ანგარიშში "Doing Business" სიადვილის მიხედვით რანჟირების დინამიკა 22
დიაგრამა 4: საერთო და უკიდურესი სიღარიბის თვალსაზრისით არსებული ტენდენციები 23
დიაგრამა 5: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია 31
დიაგრამა 6: წითელას წინააღმდეგ აცრილი 12 თვის ბავშვების რაოდენობა პროცენტებში 39
დიაგრამა 7: მშობიარობების წილი, რომლებიც პროფესიონალი ჯანდაცვის პერსონალის მიერ იყო მიღებული 41
დიაგრამა 8: ქალების პროცენტი, რომლებსაც არანაკლებ 4 ანტენატალური კონსულტაცია ჩაუტარდათ 42
დიაგრამა 9: აივ-ის ინციდენტობა 100000 მოსახლეზე ... 45
დიაგრამა 10: მალარიის ინციდენტობა 100000 მოსახლეზე 45
დიაგრამა 11: ODS-ის მოხმარება 48
დიაგრამა 12: გამოყენებული წყლის რესურსების საერთო წილი 51
დიაგრამა 13: ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნები 2013 წელს 54
დიაგრამა 14: ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები 2013 წელს 55
დიაგრამა 15: საქართველოში ICT სექტორის სტატისტიკური ინდიკატორები 58

AIDS – შეძენილი იმუნო-დეფიციტის სინდრომი
BSEC – შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია
CEDAW – კონვენცია ქალების წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის თაობაზე
CEE/CIS – ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა/ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა
CENN – კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
CO2eq – ნახშირბადის დიოქსიდის ექვივალენტი
CoM – მერთა შეთანხმება
CRC – ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია
DCFTA – ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება
DHS – საცხოვრებლით უზრუნველყოფის პრობლემა
DST – მედიკამენტების მიმართ მგრძნობელობის ტესტი
EE – გარემოსდაცვითი განათლება
EECA – ენერგო ეფექტიანობისა და კონსერვაციის უწყება
EECCA – აღმოსავლეთ ევროპა, კავკასია და ცენტრალური აზია
EMIS – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
ENIC – ინგლისის ეროვნული საინვესტიციო კომპანია
ENQA – უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია
EUROCODES – ევროპული სტანდარტების კრებული შენობებისა და ნაგებობების დაპროექტებისათვის
EUWI – ევროპის წყლის ინიციატივა
GERHS – საქართველოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა
GHG – სათბურის გაზები
GINI – უთანასწორობის კოეფიციენტი
GUAM – დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია
HDI – ადამიანის განვითარების ინდექსი
HIV – ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი
HPMP – ნახშირწყალბადის ამოღების პროცესის მართვის გეგმა
ICT – ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
IDUs – ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლები
IFC – საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
IMR – ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა
ITU – საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო ასოციაცია
IUCN – ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირი
IVWC – სატრანსპორტო საშუალებების საერთაშორისო სერტიფიკაცია
IWRM – წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა
KfW – გერმანიის განვითარების ბანკი
LEDS – დაბალი ემისიების სტრატეგია
LTE – გრძელვადიანი განვითარების ტექნოლოგიები
MoES – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MCV – წითელის შემცელი ვაქცინა
MDG – ათასწლეულის განვითარების მიზნები
MDR – მულტირეზიზტენტული
MDR-TB – მულტირეზისტენტული ტუბერკულოზი
MENRP – საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
MICS – მრავალინდიკატორიანი კლასტერული კვლევა
MMR – დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი
MMS – დედათა სიკვდილიანობის კვლევა
NAPR – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
NCDC – დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი
NCDCPH – დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი
NCEQE – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NDP – ეროვნული პოლიტიკური დიალოგი
NEAP-2 – საქართველოს მეორე ეროვნული გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმა 2012-2016 წლების პერიოდისთვის
NIMD – ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის
ODA – ოფიციალური დახმარება განვითარებისთვის
ODSs – ოზონის გამომფიტველი სუბსტანციები
OECD – ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
OSCE – ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია
PIRLS – წიგნიერების პროგრესის საერთაშორისო კვლევა
PISA – სტუდენტების საერთაშორისო შეფასების პროგრამა
PLWH – იმუნოდეფიციტის ვირუსით დაავადებული ადამიანები
PWIDs – შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირები
RAMOS – რეპროდუქციულ ასაკში სიკვდილიანობის კვლევა
RH – რეპროდუქციული ჯანმრთელობა
SDR – ნასესხობის სპეციალური უფლებები (საერთაშორისო სავალუტო ფონდი)
SEN – განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებები
TB – ტუბერკულოზი
TIMSS – მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო ტენდენციების კვლევა
TSA – მიზნობრივი სოციალური დახმარება
TVET – ტექნიკური და პროფესიული სწავლება და ტრეინინგი
UHC – უნივერსალური ჯანდაცვა
UHP – უნივერსალური ჯანდაცვის პროგრამა
UN – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
UNCT – გაეროს ადგილობრივი გუნდი
UNDP – გაეროს განვითარების პროგრამა
UNECE – გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისათვის
UNESCO – გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია
UNFPA – გაეროს მოსახლეობის ფონდი
UNICEF – გაეროს ბავშვთა ფონდი
UN Women – გაეროს ქალთა ორგანიზაცია
USAID – აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო
VET – პროფესიული სწავლება და ტრეინინგი
WB – მსოფლიო ბანკი
WHO – ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია
WPS NAP – ქალების, მშვიდობის და უსაფრთხოების საკითხებზე ეროვნული სამოქმედო გეგმა

წინასიტყვაობა

ათასწლეულის განვითარების მიზნები მნიშვნელოვანი გზამკვლევია თუ როგორ შეიძლება, გავხადოთ მსოფლიო უკეთესი. მიზნები, რომელიც დასახულ იქნა შიმშილის დასაძლევად, თანასწორობის ხელშეწყობისთვის, განათლების არეალის გასაფართოვებლად, გარემოს დასაცავად და ჯანდაცვის გასაუმჯობესებლად აერთიანებს ხალხებს მსოფლიოს გარშემო ამ ღირსეული ამოცანის შესასრულებლად. დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ფონზე ათასწლეულის განვითარების მიზნებმა კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინეს. ის ერთდროულად შეგვახსენებს იმ პრივილეგიასაც და ტვირთსაც, რასაც ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესება ჰქვია. მნიშვნელოვანია, რომ ათასწლეულის განვითარების მიზნები მთავრობების პასუხისმგებლობებს ერთიორად ზრდის, რადგან ეს პასუხისმგებლობა სცილდება კონკრეტული ქვეყნის საზღვრებს და ანგარიშვალდებულს საერთაშორისო საზოგადოების წინაშე გვხდის.

ამჟამად საქართველო საკუთარი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპზე იმყოფება. 2014 წლის ივნისში ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით საქართველომ უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადადგა. ეს ნაბიჯი კიდევ უფრო გვაახლოვებს საერთო ევროპულ ოჯახთან, რაც, უპირველეს ყოვლისა, დემოკრატიის, ჰუმანურობის, ადამიანის ღირსებისა და თანასწორობის პრინციპებთან თანაზიარობას ნიშნავს. მჯერა, რომ ეს ის პრინციპებია, რაც განვითარებისა და აღმავლობის ქვაკუთხედს წარმოადგენს და სწორედ ეს პრინციპები უდევს საფუძვლად ჩვენს ძალისხმევას, რომელიც განუხრელად წინსვლისკენ არის მიმართული. ამავდროულად, ასოცირების ხელშეკრულება ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის მომტანია. იგი საქართველოსთვის ხელმისაწვდომს ხდის ევროპის ბაზრის ერთიან სივრცეს, რაც დამატებითი ბერკეტი იქნება სწრაფი ეკონომიკური ზრდისათვის. ამ ისტორიული ეტაპის გათვალისწინებით, საქართველო კიდევ უფრო კარგად გაუმკლავდება ათასწლეულის განვითარების მიზნების გამოწვევებს და თავის წვლილს შეიტანს მსოფლიოს წინსვლისათვის შემუშავებული ახალი დღის წესრიგის - მდგრადი განვითარების მიზნების - წარმატებით დაძლევაში. საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული ადამიანის უფლებების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020 ასევე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია, რაც ქვეყნის განვითარებას კიდევ უფრო დააჩქარებს.

წინამდებარე ათასწლეულის განვითარების მიზნების ანგარიში ასახავს საქართველოს პროგრესს ამ მიზნებთან მიმართებაში ქვეყნის განვითარების ბოლო პერიოდის არაერთგვაროვან გზაზე. საქართველოს მთავრობის მიერ უკანასკნელ ხანებში განხორციელებული ინიციატივები და რეფორმები სრულად ასახავენ ათასწლეულის განვითარების მიზნების სულისკვეთებას. ჩვენს მიერ შემოღებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, სოციალური დაცვის სქემები და საკვების მიკროელემენტებით გამდიდრების პროგრამები, სკოლამდელი და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისათვის განხორციელებული რეფორმები, დაბალანსებული შრომის კოდექსი, მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამა და ინიციატივა „აწარმოე საქართველოში“, რომელიც მცირე და საშუალო ზომის მეწარმეობის სტიმულირებას ემსახურება, იმ რეფორმების არასრული ჩამონათვალია, რომელიც სწორედ ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევას ემსახურება. მიუხედავად ამისა, საქართველოს წინაშე კვლავ ბევრი გამოწვევაა და საქართველოს მთავრობა ძალ-ღონეს არ დაიშურებს მდგრადი განვითარებისათვის, რათა ჩვენს მოქალაქეებს შევთავაზოთ რეალური შესაძლებლობები და გავაუმჯობესოთ მათი ცხოვრების პირობები. ამ მნიშვნელოვანი ამოცანის მისაღწევად, წინამდებარე ათასწლეულის განვითარების მიზნების ანგარიში მნიშვნელოვანი საბაზისო დოკუმენტია.

დაბოლოს, მსურს მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც წვლილი შეიტანა აღნიშნული ანგარიშის მომზადებაში. ანგარიში წარმოადგენს საქართველოს მთავრობის, განვითარების პარტნიორების და არასამთავრობო სექტორის წარმატებული თანამშრომლობის შედეგს. ეს თანამშრომლობა კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ რა შედეგი მოაქვს დასახული მიზნის გარშემო გაერთიანებას. მჯერა, რომ სწორედ ასეთი ერთობა აქცევს მსოფლიოს უფრო აყვავებულ, განათლებულ და უსაფრთხო ადგილად.

ირაკლი ღარიბაშვილი
საქართველოს პრემიერ-მინისტრი

2000 წლის სექტემბერში ათასწლეულის სამიტზე, რომელიც ნიუ იორკში გაიმართა, 191 სახელმწიფომ, მათ შორის საქართველომ, იკისრა ვალდებულება, 2015 წლისთვის განვითარების მიზნებისა და ამოცანებისთვის მიეღწია. ეს მიზნები და ამოცანები სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფალთ ეხმარება, უკეთ ადევნონ თვალ-ყური საზოგადოების განვითარებას, თავი მოუყარონ და აამოქმედონ მეტი სახელმწიფო რესურსი და განამტკიცონ თანამშრომლობა განვითარებისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოხარული ვარ, წარმოგიდგინოთ ათასწლეულის განვითარების მიზნების მესამე ანგარიში საქართველოსთვის. ეს დოკუმენტი გახლავთ შედეგი მტკიცე თანამშრომლობისა, რომელიც წარმართა საქართველოს ხელისუფლებამ და გააერთიანა შესაბამისი სამთავრობო უწყებები, სამოქალაქო საზოგადოება, გაეროს სააგენტოები და მრავალი სხვა, ვინც საქართველოს წარმატებითაა დაინტერესებული.

გაერო მიესალმება საქართველოს ძალისხმევასა და წინსვლას ათასწლეულის განვითარების მიზნების განხორციელების გზაზე და კვლავ მხარში ამოუდგება მას შემდგომი წარმატებების მისაღწევად. რამდენადაც ათასწლეულის განვითარების მიზნები უმეტესად მიღწეულია, ახლა მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ქვეყნის შეუფერხებელ წინსვლას, რაც თანაბრად ხელშესახები უნდა იყოს სოფლად თუ ქალაქად მცხოვრები თითოეული ქალისა და მამაკაცისთვის.

ეს ანგარიში მოუწოდებს ყველა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის, რასაკვირველია, ხელისუფლებას, საქმიან წრეებსა და სამოქალაქო საზოგადოებას, შეთანხმებულად იმოქმედონ, რომ 2015 წლისთვის საქართველომ სრულად მიაღწიოს „ათასწლეულის დეკლარაციით“ დადგენილ მიზნებს.

ნილს სკოტი
გაეროს მუდმივი კოორდინატორი საქართველოში

ძირითადი შედეგები

MDG 1. უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა

1.1. ამოცანა 1: 2015 წლისთვის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის წილის განახევრება

1.2. ამოცანა 2: 2015 წლისთვის იმ ადამიანების წილის განახევრება, რომელთა ორგანიზმსაც საკვები აკლია

1.3. ამოცანა 3: იძულებით გადაადგილებული პირებისა და კონფლიქტებისა და ბუნებრივი კატასტროფებისგან დაზარალებული პირების სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაცია და სამოქალაქო ინტეგრაცია

- არსებითად შემცირდა სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა და ეს მაჩვენებელი 21%-იდან 14.8%-მზე შემცირდა. ასევე შემცირდა უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა და ეს მაჩვენებელი 2010 წელს არსებული 6.7%-იდან 2012 წელს 3.7%-მდე შემცირდა. ასევე შემცირდა სიღარიბის სიმწვავე.
- ბავშვებში უკიდურესი სიღარიბის შემცირების ტენდენცია გამოიკვეთა და ეს მაჩვენებელი 2011 წელს დაფიქსირებული 9.4%-დან 2013 წელს ფიქსირებულ 6%-მდე შემცირდა.
- წონანაკლული ბავშვების პრევალენტობა დაბალია.
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ დაახლოებით 2100 ოჯახი უზრუნველყო საცხოვრებლით, რაც დაახლოებით 8000 ადამიანს შეადგენს. ამჟამად იძულებით გადაადგილებული 28 528 ოჯახიდან, რომელთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის პრობლემა გადაიჭრა - 15 441 ოჯახმა საკუთრებაში მიიღო ფართი, რომელიც მათ სახელზეა.
- ახალმა მთავრობამ ასევე იძულებით გადაადგილებული პირებისთვის ალტერნატიული საარსებო წყაროების უზრუნველყოფაზე მიმართული ძალისხმევის კოორდინირება და მხარდაჭერა იკისრა. ასეთი მიდგომები ხელს შეუწყობს იმას, რომ იძულებით გადაადგილებული პირები ნაკლებად დამოკიდებული იქნებიან სახელმწიფო დახმარებაზე.

MDG 2. საქართველოს განათლების სისტემის განვითარებული ქვეყნების განათლების სისტემებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა ხარისხისა და ინსტიტუციონალური მოწყობის გაუმჯობესების გზით

2.1. ამოცანა 4:
სასკოლო განათლების 12-წლიან ციკლზე გადაყვანა და სასკოლო განათლების ხარისხის შეფასების საერთაშორისო სისტემებში მონაწილეობის მიღება

2.2. ამოცანა 5:
მესამე საფეხურის საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის სისტემის დანერგვა; თანამედროვე მესამე საფეხურის საგანმანათლებლო სისტემებთან ინსტიტუციური შესაბამისობის უზრუნველყოფა

2.3. ამოცანა 6:
პროფესიული განათლების სისტემის შრომის ბაზარზე ორიენტირებულ სისტემად გარდაქმნა; პროფესიული განათლების სისტემაში კერძო სექტორის განვითარების ინსტიტუციური ხელშეწყობის სისტემის ჩამოყალიბება

2.4. ამოცანა 7:
ინკლუზიური და ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა; ინკლუზიური განათლების პრინციპების ეროვნულ სასწავლო პროგრამებში ინტეგრირება

- ამჟამად სკოლამდელი განათლება ბავშვების 46%-ისთვისაა მისაწვდომი, მაშინ როდესაც 2003 წელს ეს მაჩვენებელი 26%-ს შეადგენდა.
- სკოლამდელი აღზრდა უფასო გახდა.
- თანამედროვე სასკოლო განათლების სტანდარტებთან შესაბამისობა სასკოლო განათლების 12-წლიან ციკლზე გადაყვანით იქნა უზრუნველყოფილი.
- შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის შექმნის შედეგად შეფასების ეროვნული სისტემების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა იქნა უზრუნველყოფილი და საქართველო მონაწილეობას იღებს სხვადასხვა საერთაშორისო კვლევებში (მაგ. TIMSS, PIRLS, PISA), რომლებიც სისტემური ხარვეზების იდენტიფიცირებას და განათლების დაგეგმვისა და ხარისხის გაუმჯობესებას უწყობს ხელს.
- გადაისინჯა განათლების ინდიკატორების წყება მათი საერთაშორისო ინდიკატორებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.
- 2013 წლისთვის 187-მა საგანმანათლებლო პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია. აქედან 51% მესამე საფეხურის საგანმანათლებლო დაწესებულება იყო.
- შემუშავდა პროფესიული და ტექნიკური განათლების დაწესებულებებში მიღებისა და სწავლების დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ყველა პირს საშუალებას აძლევს უფასოდ დაეუფლონ ახალ პროფესიას. ეტაპობრივად ხორციელდება 26 ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების გახსნა, რათა გაიზარდოს პროფესიული განათლების გეოგრაფიული მოცვის არეალი და შესაბამისად, ამ განათლებისადმი მისაწვდომობა.
- 2012 წლიდან ინკლუზიური განათლება საქართველოს ყველა საჯარო სკოლისთვის სავალდებულო გახდა. დღეის მდგომარეობით საქართველოს ყველა სკოლა აღჭურვილია საჭირო შესაძლებლობებით, ცოდნით და უნარებით, რათა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე და უნარშეზღუდული ბავშვებისთვის ხელსაყრელი და მეგობრული სასწავლო გარემო შეიქმნას.
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მასწავლებლებისთვის სხვადასხვა სახელმძღვანელო ინსტრუქციები შეიმუშავა და გამოსცა, მათ შორის: „ინკლუზიური განათლება“, „გონებრივი განვითარების პრობლემების მქონე ბავშვების სწავლების მეთოდები“, „სმენადაქვეითებული ბავშვების სწავლების მეთოდები“, „მხედველობადაქვეითებული ბავშვების სწავლების მეთოდები“, და „სპორტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის“. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა მასწავლებელთა ტრეინინგის სპეციალური პროგრამა შეიმუშავა.

MDG 3. გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებამოსილების გაზრდის ხელშეწყობა

3.1. ამოცანა 8:
დასაქმების სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა

3.2. ამოცანა 9:
პოლიტიკურ სფეროში და მმართველობის ყველა დონეზე ქალების მონაწილეობის უზრუნველყოფა

- შრომის კოდექსი ანტი-დისკრიმინაციულ და უფლებების დაცვაზე ორიენტირებულ დებულებებს შეიცავს. 2014 წლის 1 იანვრიდან მასში შევიდა ცვლილებები, რომელიც შეეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა ოფიციალური შვებულება ორსულობასთან, მშობიარობასთან და ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით. ზემოთხსენებული ცვლილებების შესაბამისად შვებულება არსებული 477 კალენდარული დღიდან 730 კალენდარულ დღემდე გაიზარდა, ხოლო ანაზღაურებული შვებულება 126 კალენდარული დღიდან 183 კალენდარულ დღემდე გაიზარდა; გარდა ამისა 183 დღის ხანგრძლივობის ანაზღაურებული შვებულების თანხა 1,000 ლარამდე გაიზარდა (625 დოლარი), რაც 126-დღიანი ანაზღაურებული შვებულების დროს 600 ლარს შეადგენდა (375 დოლარი).

- 2011 წელს ქალების პოლიტიკური პარტიების სიებში ჩართვასთან დაკავშირებით ნებაყოფლობითი ქვოტები დაწესდა. ქვოტების დაცვის შემთხვევაში, კერძოდ კი პარტიის საარჩევნო სიის ყოველ ათ კანდიდატში 2 სხვა სქესის წარმომადგენლის ჩართვის შემთხვევაში, პარტია დამატებით 10%-ის ოდენობით საბიუჯეტო დაფინანსებას მიიღებს.

- 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად 150 პარლამენტის წევრიდან 17 ქალია, რაც პარლამენტის წევრების 11%-ს შეადგენს. 2008 წლის მოწვევის პარლამენტში წევრი ქალების რაოდენობა მხოლოდ 6.4%-ს შეადგენდა. ერთმანდატიან ოლქებში დასახელებული კანდიდატების საერთო რაოდენობიდან ქალი კანდიდატების რაოდენობა 2012 წელს 15%-ს შეადგენდა, ხოლო იგივე მაჩვენებელი 2008 წელს 12%-ს შეადგენდა. შედეგად ამჟამად პარლამენტში 7 ქალი იქნა არჩეული მაჟორიტარ პარლამენტის წევრად ერთმანდატიანი ოლქებიდან, მაშინ როდესაც 2008 წელს 1 ქალი მაჟორიტარი დეპუტატი იყო, ხოლო 2004 წელს კი 2.

- 2013 წელს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თავის აპარატის შემადგენლობაში შეიყვანა ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მრჩეველი, რაც არსებითად შეუწყობს ხელს გენდერულ და ქალების უფლებამოსილების გაზრდასთან დაკავშირებული საკითხების ეფექტურად გადაჭრას.

- მუნიციპალიტეტების დონეზე დაინიშნა 49 საკონტაქტო პირი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან გენდერულ საკითხებზე.

- 2013 წელს სახალხო დამცველის აპარატთან გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი შეიქმნა, რომელმაც 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა და სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობაში გენდერული საკითხების უკეთ გათვალისწინების სტრატეგია შეიმუშავა.

MDG 4. ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება

4.1. ამოცანა 10:
ხუთ წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის ორი მესამედით შემცირება 2000-დან 2015 წლამდე პერიოდში

- ოფიციალური დემოგრაფიული სტატისტიკის შესაბამისად (GeoStat) საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა 5 წლამდე ბავშვების სიკვდილიანობა: 2000 წელს იგი იყო 24.9, ხოლო 2013 – 13 ყოველ 1000 ცოცხალშობილზე.

- 2000 წლიდან მოყოლებული ქვეყანაში წითელის შემცველი ვაქცინით (MCV) მოცვის მაჩვენებელი სტაბილურად 90%-ს შეადგენს, ხოლო 2012 წლის ბოლოსთვის ვაქცინაციით მოცვის მაჩვენებელმა 93%-ს, ხოლო 2013 წელს კი 96.5%-ს მიაღწია.

MDG 5. დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება

5.1. ამოცანა 11:
დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლის სამი მეოთხედით შემცირება 2000-დან 2015 წლამდე პერიოდში

- შემცირდა დედათა სიკვდილიანობა 100,000 ცოცხალშობილზე 49.2-დან 2000 წელს 22.9-მდე 2012-ში.

დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100,000 ცოცხალშობილზე:

	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
ოფიციალური სტატისტიკა	49,2	58,7	42,2	49,9	43,1	23,4	23,0	20,2	14,3	52,1	19,4	27,6	22.9

- სტაბილურად იზრდება და თითქმის 100%-ს აღწევს პროფესიონალი პერსონალის მიერ მიღებული მშობიარობების წილი.

მშობიარობების წილი, რომლებიც პროფესიონალი ჯანდაცვის პერსონალის მიერ იყო მიღებული:



MDG 6. აივ/შიდსთან, მალარიასთან და სხვა დაავადებებთან ბრძოლა

6.1. ამოცანა 12:
აივ/შიდსის გავრცელების შეჩერება და ავადობის შემცირების ტენდენციის მიღწევა 2015 წლისთვის

6.2. ამოცანა 13:
მალარიის და სხვა დაავადებების გავრცელების შეჩერება და ავადობის შემცირების ტენდენციის მიღწევა 2015 წლისთვის

- აივ/შიდსის სავარაუდო პრევალენტობა მოზრდილებში: 0.3%ია. 2013 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით ოფიციალურად აივ დადებითი 4 084 ადამიანია დარეგისტრირებული.
- საქართველო - ერთადერთი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანაა, სადაც ანტირეტრო-ვირუსული მკურნალობის უნივერსალური მისაწვდომობაა უზრუნველყოფილი.
- შემცირდა მალარიის შემთხვევები.

მალარიის შემთხვევები 100000 მოსახლეზე:



- ტუბერკულოზის ახალი შემთხვევებით ავადობა ყოველ 100,000 მოსახლეზე 2000 წელს არსებული 96.5-დან 2012 წელს 84.1-მდე შემცირდა, ხოლო პრევალენტობა იმავე პერიოდში 133.4-იდან 110.9-მდე შემცირდა.

MDG 7. ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფა

7.1. ამოცანა 14:
მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრირება ქვეყნის პოლიტიკასა და პროგრამებში და ბუნებრივი რესურსების შემცირების (დეგრადაციის) ტენდენციის შეჩერება

7.2. ამოცანა 15:
იმ მოსახლეობის წილის განახევრება, ვისაც სტაბილურად არ მიუწვდება ხელი ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო წყალზე

7.3. ამოცანა 16:
საბინაო სექტორის ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან, მათ შორის სოციალური საცხოვრებლის კომპონენტის დანერგვა

- 2011 წელს საქართველოში სათბურის გაზების (GHG) ემისიები მხოლოდ 14.27 მილიონ t CO2 ექვივალენტს (1987 წელს არსებული მაჩვენებლის დაახლოებით 29%). 2011 წელს ერთ სულ მოსახლეზე სათბური გაზების ემისიები 3.19 t CO2 ექვივალენტს შეადგენდა, ანუ 2.9-ჯერ ნაკლებს, ვიდრე 1987 წელს (9.38 t CO2eq/ ერთ სულ მოსახლეზე).

- შემუშავდა ოზონის გამომფიტველი სუბსტანციების მარეგულირებელი კანონ-მდებლობა. საქართველო სრულ შესაბამისობაშია მონრეალის პროტოკოლით გათვალისწინებული კონტროლის ზომებთან.

ოზონის გამომფიტველი სუბსტანციების (ODS) მოხმარება:



- 2014 წელს დაცული ტერიტორიების მთლიანი ფართობი საქართველოს ტერიტო-რიის 8.62%-ს შეადგენდა. ბოლო წლების განმავლობაში დაცული ტერიტორიების მიერ დაკავებული ფართობი 2004 წელს არსებულთან შედარებით (265.85 ჰექტარი) გაორმაგდა და 600.59 ჰექტარი შეადგინა.

- „სივრცითი დაგეგმარებასა და საქართველოს სამშენებლო კოდექსი“ - კოდექსი საუკეთესო ევროპულ გამოცდილებას ეყრდნობა და ხელს შეუწყობს სივრცითი დაგეგმარების და სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროპულ და საერთაშორისო ნორმებთან.

MDG 8. გლობალური პარტნიორობა განვითარებისთვის

8.1. ამოცანა 17:
ღია, წესებზე დაფუძნებული, პროგნოზირებადი და არადისკრიმინაციული სავაჭრო და საფინანსო სისტემის ჩამოყალიბება

8.2. ამოცანა 18:
ვალთან დაკავშირებული პრობლემების თანმიმდევრული გადაჭრა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე შესაბამისი ზომების გატარების გზით, რათა შესაძლებელი გახდეს ვალთან დაკავშირებული საკითხების გრძელვადიან პერსპექტივაში მდგრადად მოგვარება

- 2014 წლის ივლისში საქართველომ ასოცირების ხელშეკრულების და თავისუფა-ლი და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა (DCFTA). DCFTA 2014 წლის სექტემბერში შევიდა ძალაში.

- 2013 წელს საქართველომ ყველაზე მაღალი რეიტინგი მოიპოვა ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით. საქართველო „ზომიერად თავისუფალი“ ქვეყნების კატეგორიაში შედიოდა, ხოლო 2013 წელს იგი „ძირითადად თავისუფალი“ კატეგორიის ქვეყნებს მიუერთდა. Heritage Foundation-ის შესაბამისად საქართველოს ეკონომიკის რეიტინგი 72.2-ი იყო და ქვეყანამ 21-ე ადგილი დაიკავა 2013 წელს 10 ეკონომიკური თავისუფლებიდან 6 მიმართულებით გაუმჯობესების მიღწევის შედეგად. კერძოდ, გაუმჯობესება იყო მიღწეული სახელმწიფო სახსრების, ინვესტიციირების თავისუფლების, მონეტარული თავისუფლების და საკუთრების უფლების სფეროებში. საქართველომ ევროპის რეგიონის 43 ქვეყანას შორის მე-12 ადგილი დაიკავა და მისი შედეგები რეგიონის საშუალო შედეგებზე ბევრად უფრო მაღალია.

- საქართველოს ეროვნულმა ბანკმა რეფორმები გაატარა საფინანსო სისტემის მარეგულირებელი ჩარჩოს გაუმჯობესების, საერთაშორისო რეზერვების მართვის დახვეწის და ბანკთაშორისი ანგარიშსწორების ეფექტური და სანდო სისტემების დანერგვის მიზნით. მნიშვნელოვანი ძალისხმევა იქნა მიმართული მონეტარული პოლიტიკის გაუმჯობესების მიმართულებით.

8.3. ამოცანა 19:
ქვეყნის მასშტაბით საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მისაწვდომობის გაუმჯობესება, ქალაქებსა და რაიონებს შორის ციფრული უთანასწორობის მინიმალიზაცია

- 2006 წლის სექტემბრიდან საქართველომ საქონლის 85%-ზე იმპორტზე გადასახადი გააუქმა და იმპორტზე გადასახადების რაოდენობა 16-დან 3 – 0%-მდე, 5%-მდე და 12%მდე შეამცირა.

საგარეო ვალის დინამიკა:

მილიონ აშშ დოლარში	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
საგარეო სახელმწიფო ვალი	1,697	1,790	2,691	3,382	3,937	4,201	4,357	4,202
საგარეო ვალის მომსახურეობა (ექსპორტის %)	21.0%	8.9%	5.6%	12.2%	8.9%	8.0%	5.8%	9.4%
ODA სესხების გამოყოფა	16.1	12.1	14.8	34.7	21.6	36.3	55.4	69.4
O/W გაერთიანებული სესხების გამოყოფა	16.1	12.1	10.6	28.3	21.6	35.4	43.0	50.2

გაეროს ელექტრონული მმართველობის კვლევა, 2014

	რეიტინგი 2014	რეიტინგი 2012	რეიტინგი 2010	რეიტინგი 2008
E- მმართველობა	56	72	100	90
E- მონაწილეობა	49	66	127	135

- მსოფლიო ბანკის “Doing Business” ანგარიშის შესაბამისად საქართველო ბოლო 3 წლის განმავლობაში პირველ ადგილზეა საკუთრების რეგისტრაციის კატეგორიაში.

- დაინერგა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ელექტრონული სერვისები, მათ შორის საქართველოს სახელმწიფო არქივში დაცული ტექნიკური დოკუმენტაციის ელექტრონული წვდომა, ელექტრონული დეკლარირება საქართველოს შემოსავლების სამსახურში, ელექტრონული აუქციონები სახელმწიფო შესყიდვებისა და ქონების მართვის სააგენტოში, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ელექტრონული შედგენა, ანგარიშსწორების კარგად განვითარებული ონლაინ-სისტემა და სხვა.

შესავალი

საქართველომ, როგორც ათასწლეულის დეკლარაციის ხელმომწერმა სახელმწიფომ, თავის ეროვნულ სტრატეგიებში ათასწლეულის განვითარების მიზნების ინტეგრირება დაიწყო და ქვეყანა პერიოდულად ანგარიშს წარადგენს ამ მიზნების განხორციელების პროგრესის შესახებ. 2004 წელს საქართველომ ათასწლეულის განვითარების მიზნების (MDG) საბაზისო ანგარიში მოამზადა, რომლითაც გლობალური მიზნებისა და ამოცანების ქართულ კონტექსტზე მორგება განხორციელდა. 2005 წელს საქართველომ ათასწლეულის განვითარების მიზნების განხორციელების პროგრესის ანგარიში წარადგინა. იმის გათვალისწინებით, რომ 2015 წელი, ანუ საბოლოო ვადა ახლოვდება, უაღრესად მნიშვნელოვანია გლობალური განვითარების მიზნების მიღწევის თვალსაზრისით არსებული ვითარების შეფასება და იმის გაანალიზება, თუ როგორ გაართვა თავი საქართველომ არსებულ გამოწვევებს და როგორია ამჟამად ეროვნული კონტექსტი.

წინამდებარე ანგარიში აღწერითი ხასიათისაა და მისი მიზანია საქართველოს მიღწევების შეფასება MDG-ს ფარგლებში დასახული მიზნების შესრულების თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ ანგარიშზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა მონაცემების სისრულესთან დაკავშირებული პრობლემები. ანგარიში მოძიებული მონაცემების საფუძველზე მომზადდა და იგი 2000-2013 წლების პერიოდს მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში ოფიციალური სტატისტიკის მონაცემთა ხარისხი გაუმჯობესდა და უფრო ფართო არეალიც მოიცვა, მაინც რჩება გადასაჭრელი რიგი პრობლემები სტატისტიკური მონაცემების შეგროვების სიხშირის, სანდოობისა და პერიოდულობის თვალსაზრისით, რათა ისინი მონაცემების საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს მიუახლოვდეს. საჭიროა საქართველოს სტატისტიკის სისტემის შემდგომი განვითარება, რათა უფრო ეფექტური მონიტორინგი დამყარდეს გაეროს ათასწლეულის დეკლარაციით დასახული მიზნების მიღწევაზე და დაინერგოს ანგარიშგების უფრო სრულყოფილი სისტემა.

წინამდებარე ანგარიში მომზადდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, კერძოდ კი პოლიტიკის ანალიზის, სტრატეგიული დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის დონორების კოორდინაციის სამმართველოს ხელმძღვანელობითა და კოორდინაციით. ანგარიშის მომზადებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სხვადასხვა ორგანიზაციებმა, მათ შორის შესაბამისმა სამინისტროებმა, საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურმა, მონაცემთა გაცვლის სააგენტომ, საქართველოს პარლამენტმა, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და განვითარების ორგანიზაციებმა, მათ შორის გაეროს სააგენტოებმა, მსოფლიო ბანკმა და სხვებმა, რომლებმაც მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გაუწიეს ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელ პირებს მონაცემების მიწოდებით და ექსპერტული ანალიზით. წინამდებარე ანგარიშის მომზადებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევაში.

ანგარიში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში დონორების კოორდინაციის სამმართველოს ხელმძღვანელობით 2014 წლის მაისი-ივლისის პერიოდში შემდგარი განხილვებისა და მსჯელობის შედეგებზე დაყრდნობით მომზადდა. ამ მიზნით რამდენიმე სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რომელთა შემადგენლობაში სახელმწიფო სტრუქტურების, განვითარების პარტნიორი ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები შედიოდნენ. ანგარიშის საბოლოო ვერსია სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს წარედგინათ კომენტარებისა და მოსაზრებების გამოსათქმელად.

ანგარიში ეყრდნობა სხვადასხვა კვლევებს და ანგარიშებს, მათ შორის გაეროს ადამიანის განვითარების ინდექსის 2013 წლის კვლევას, World Justice-ის კანონის უზენაესობის ინდექსის 2014 წლის კვლევას, მსოფლიო ბანკის სიღარიბის შეფასების 2014 წლის ანგარიშს, Heritage Foundation-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის 2013 წლის კვლევას, მსოფლიო ბანკი/საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის "Doing Business"-ის 2013 წლის ანგარიშს, UNICEF-ის მრავალინდიკატორიან კლასტერულ კვლევას, PISA OECD-ს, ევროკომისიის ანგარიშს საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ, დოკუმენტს "პარტიებს შიგნით დემოკრატიული განვითარება გენდერული პერსპექტივიდან", პარტიების შიგნით დემოკრატია და ადგილობრივი თვითმმართველობა, NIMD საქართველო.

მადლიერების ნიშნად

საქართველოს მთავრობის სახელმწიფო ადმინისტრაცია მადლობას უხდის წინამდებარე დოკუმენტის მომზადებაში ჩართულ ორგანიზაციებსა და კონკრეტულ პირებს. ანგარიშის მომზადებაში უდიდესი წვლილი მიუძღვით გაეროს განვითარების პროგრამას, გაეროს მუდმივი წარმომადგენლის ოფისს, საქართველოს მუდმივმოქმედ წარმომადგენლობას გაეროს ნიუ იორკის ოფისში დონორების კოორდინაციის სამმართველოს საქმიანობის ზოგადი კოორდინაციისა და მხარდაჭერის თვალსაზრისით, როდესაც ეს უკანასკნელი წინამდებარე ანგარიშის მომზადების პროცესში ძირითადი საკონტაქტო პირის ფუნქციას ასრულებდა და კომუნიკაციას და კოორდინაციას უზრუნველყოფდა ანგარიშის სხვადასხვა ნაწილის მომზადების პროცესში. წინამდებარე ანგარიში ასევე ეყრდნობა იმ საბაზისო ანგარიშის შედეგებს, რომელიც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ მოამზადა გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ყოველწლიური მინისტერიალის შეფასების პროცესში ნებაყოფლობითი ანგარიშგების ფორმატში წარდგენის მიზნით.

დოკუმენტის მომზადებაში ძირითადი წვლილი შეიტანეს:

CENN
მონაცემთა გაცვლის სააგენტომ
საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ
იძულებით გადაადგულებულ ქალთა ასოციაციამ „თანხმობა“
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ
საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ
საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ
საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ
საქართველოს პრემიერ მინისტრის თანაშემწის ოფისმა ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე
საქართველოს ეროვნულმა ბანკმა
საქართველოს სახალო დამცველმა
მსოფლიო ბანკმა
UNICEF
UN Women
UNDP
UNFPA
WHO
ქალთა საინფორმაციო ცენტრმა
ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ

ანგარიში მომზადდა და გამოქვეყნდა გაეროს ადგილობრივი გუნდის (UNCT) მხარდაჭერით.

ეროვნული კონტექსტი

2000 წელს საქართველომ ათასწლეულის დეკლარაციას მოაწერა ხელი, რითაც ეროვნული განვითარების სტრატეგიებში და გეგმებში ათასწლეულის განვითარების მიზნების (MDGs) ინტეგრირების და ამ მიზნების განხორციელების მიმდინარეობის თაობაზე პერიოდული ანგარიშგების ვალდებულება იკისრა. ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევისთვის მნიშვნელოვანია პოლიტიკური ნება, დაკისრებული ვალდებულებების განუხრელად შესრულება და შესაბამისი პოლიტიკური გარემოს არსებობა, აგრეთვე ინსტიტუციონალური რეფორმების გატარება და ეკონომიკის განვითარება. ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევის პროგრესი ქვეყნის კონკრეტული კონტექსტის გათვალისწინებით უნდა გაანალიზდეს.

ცხრილი 1 საბაზისო დემოგრაფიული მონაცემები [1]

	2013	
	სულ	მაჩვენებელი
ცოცხლადშობილების რაოდენობა და შობადობის მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე	57 878	12.9
მოსახლეობის ბუნებრივი მატება და ზრდის მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე	9 325	2.1
სიკვდილიანობის რაოდენობა და სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე	48 553	10.8
მიგრაციის დინამიკა და მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე	2606	0.6

ქვეყნის შესახებ

საქართველო კავკასიის რეგიონში მდებარეობს დასავლეთ აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის გასაყარზე. ქვეყნის ტერიტორია 70,000 კვადრატულ კილომეტრს მოიცავს და გადაჭიმულია დიდი კავკასიონის უღელტეხილის სამხრეთ ფერდობებიდან შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირებამდე. საქართველოს ჩრდილოეთიდან რუსეთი ესაზღვრება, სამხრეთ-დასავლეთიდან - თურქეთი, სამხრეთიდან - სომხეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან - აზერბაიჯანი. საქართველოს მოსახლეობა 4.5 მილიონს შეადგენს (2013). ისტორიულად ქვეყანა ეთნიკური თვალსაზრისით ჰეტეროგენულია და მოსახლეობის 54% რეგიონებში ცხოვრობს.

საქართველო წარმოადგენს უნიტარულ, დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომლის სახელმწიფო მეთაური პრეზიდენტია, ხოლო - მთავრობის ხელმძღვანელი. პარლამენტი პრემიერ მინისტრი, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო, 150 პარლამენტის წევრისგან შედგება, საიდანაც 77 წევრი პროპორციული სისტემით არის არჩეული პარტიული სიებიდან, ხოლო პარლამენტის 73 მაჟორიტარი წევრი ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქებიდანაა არჩეული. პარლამენტის ყველა წევრი 4 წლის ვადით აირჩევა.

საქართველო ქვედა დონის საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყანაა[2]. სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის მაჩვენებელი საგრძნობლად შემცირდა და იგი 21%-იდან 14.8%-მდე ჩამოვიდა. ასევე შემცირდა უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებელი, რომელიც 2010 წელს 6.7%-ს შეადგენდა, ხოლო 2012 წელს კი 3.7%-მდე ჩამოვიდა. სიღარიბეში სხვაობა 6.8-დან უპრეცენდენტოდ შემცირდა 4.3-მდე, სიღარიბის სიმწვავის ინდექსი პრაქტიკულად განახევრდა, თუმცა უმუშევრობა კვლავაც მაღალია და 2012 წლის მდგომარეობით იგი 155-ს შეადგენდა[3].

ქვეყნის მიერ ადამიანის განვითარების სფეროში აღებული ვალდებულებები

1991 წელს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ქვეყანა ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში არსებულ ძირითად საერთაშორისო ინსტრუმენტებს მიუერთდა, მათ შორისაა: ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაცია, ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია (CRC), ქალების წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის თაობაზე კონვენცია (CEDAW), სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების თაობაზე საერთაშორისო პაქტი და ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული უფლებების თაობაზე საერთაშორისო პაქტი.

2013 წელს საქართველოს ადამიანის განვითარების ინდექსი (HDI) 0.744-ს შეადგენდა - რაც ადამიანის განვითარების თვალსაზრისით მაღალ კატეგორიასთან კუთვნილებას ნიშნავს და საქართველომ გაეროს მიერ აღიარებულ 187 ქვეყანას შორის 79-ე ადგილი დაიკავა. 2005-დან 2013 წლამდე პერიოდში საქართველოს HDI მაჩვენებელი 0.710-დან 0.744-მდე გაიზარდა, რაც 4.8%-იან ზრდაზე, ან 0.58%-იან საშუალო წლიურ ზრდაზე მიუთითებს. საქართველო ნათელი მაგალითია იმისა, რომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ შემოსავლის დონე და კეთილდღეობის მაქსიმიზაცია, არამედ

[1] წყარო: ეროვნული სტატისტიკური სამსახური
[2] მსოფლიო ბანკის მონაცემები და სტატისტიკა ; http://econ.worldbank.org/WBSITE/EXTERNAL/DATASTATISTICS/0,,contentMDK:20421402~menuPK:64133156~pagePK:64133150~piPK:64133175~theSitePK:239419,00.html;
[3] WB. საქართველოში სიღარიბის შეფასების ანგარიში, 2014. http://documents.worldbank.org/curated/en/2009/04/10503390/georgia-poverty-assessment

აგრეთვე ის, თუ როგორ გამოიყენება და სად მიემართება გაზრდილი შემოსავლები. საქართველო პირველ 5 ადგილზე მყოფ ქვეყნებს შორის საპატიო ადგილს იკავებს, რომელთაც ყველაზე დიდი პოზიტიური სხვაობა აქვთ ერთ სულ მოსახლეზე მთლიან ეროვნულ შემოსავლებსა და HDI რეიტინგს შორის, რაც იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად შემოსავლების სიმცირისა, მისი დიდი ნაწილი ადამიანის განვითარებას ხმარდება[4].

2013 წელს საქართველოს მთავრობამ უნივერსალური ჯანდაცვის (UHC) საფლაგმანო პროგრამა წამოიწყო, რომელიც საქართველოს ყველა მოქალაქეს მოიცავს ამბულატორული, სტაციონარული და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების შემცველი საბაზისო პაკეტით. ზემოხსენებული პროგრამა უნივერსალური ჯანდაცვის თაობაზე გაეროს 2012 წლის რეზოლუციასა და გლობალურ ხედვას ეყრდნობა და კიდევ ერთი ნათელი დემონსტრაციაა იმისა, რომ საქართველო განუხრელად ასრულებს MDG-ს ჯანდაცვასთან დაკავშირებულ მიზნებს და ადამიანური განვითარების ფართო ამოცანებს. ისეთი საერთაშორისო პარტნიორები, როგორიცაა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO), მსოფლიო ბანკი და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), აქტიურ მხარდაჭერას უწევენ ქვეყანას უნივერსალური ჯანდაცვის სფეროს განვითარებაში.

უკანასკნელი პოლიტიკური მოვლენები

საქართველომ პოლიტიკური დამოუკიდებლობა 1991 წელს მოიპოვა. როგორც ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ და გარდამავალი ეონომიკის მქონე ქვეყანამ, მან მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლების დამკვიდრებისა და კორუფციისა და დანაშაულის შემცირების სფეროში. 2003 წელს მომხდარი მშვიდობიანი ვარდების რევოლუციის შედეგად ქვეყანაში სისტემური ცვლილებების გატარება დაიწყო კორუფციის აღმოფხვრის, ბიუროკრატიის შემცირების, საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლების და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით. წინა წლების განმავლობაში მიღწეული მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდის მიუხედავად მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მდგომარეობა შეუცვლელი დარჩა.

2008 წელს საქართველოზე ორმაგმა კრიზისმა მოახდინა ზეგავლენა - ერთი მხრივ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტმა და მეორე მხრივ მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, რასაც შიდა პოლიტიკური კრიზისი დაერთო, ქვეყანაში სირთულეები გამოიწვია. საქართველომ საკმაოდ მალე დაძლია ზემოხსენებული კრიზისებით გამოწვეული უარყოფითი შედეგები და 2010 და 2011 წელს ქვეყნის ეკონომიკურმა ზრდამ თითქმის კრიზისამდელ პეროდში არსებულ ზრდას მიაღწია. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური ძალაუფლება აღმასრულებელი ხელისუფლების ხელში დარჩა კონცენტრირებული გამჭვირვალეობის, ინკლუზიურობის და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის საზიანოდ, რის შედეგადაც სულ უფრო იზრდებოდა უკმაყოფილება მმართველი პარტიის მიერ ხელისუფლების კონსოლიდაციის გამო. 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებზე ქართულმა ოცნებამ გაიმარჯვა, რაც სამხრეთ კავკასიის რეგიონის ისტორიაში ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემის პირველი პრეცენდენტი გახდა. ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) დამკვირვებელთა განცხადებით, არჩევნებმა ობიექტურად ასახა ხალხის ნება.

2012 წლის არჩევნების შემდეგ საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა შემდგომი დემოკრატიზაციის, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მედიის თავისუფლების მიმართულებით. საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა საქართველოს შრომით კოდექსში და იგი შესაბამისობაში მოიყვანა საერთაშორისო სტანდარტებთან. მიღებული იქნა მნიშვნელოვანი კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. მედიის მარეგულირებელ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შედეგად გაიზარდა მაუწყებლების მფლობელობის თაობაზე ინფორმაციის გამჭვირვალობა, შემცირდა პოლიტიკური გავლენა საჯარო მაუწყებელზე და წინასაარჩევნო პერიოდისთვის გათვალისწინებული Must Carry/Must Offer-ის თაობაზე კანონის მოთხოვნები მთელი წლის განმავლობაში სავალდებულო გახდა[5].

2014 წელს საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებლის მიხედვით საუკეთესო შედეგი ჰქონდა. Heritage Foundation-ის მონაცემებით, საქართველოს ეკონომიკა რეზისტენტულობის მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება. საქართველომ 2014 წელსაც შეინარჩუნა „ძირითადად თავისუფალი“ ქვეყნის ინდექსი. კორუფციის აღმოფხვრასა და ფისკალური სტაბილურობის აღდგენაზე მიმართულმა გეგმაზომიერმა მუშაობამ შედეგი გამოიღო. მნიშვნელოვნად გაადვილდა იურიდიულ დოკუმენტებზე წვდომა, ფისკალური კონსოლიდაციის შედეგად შემცირდა საბიუჯეტო დეფიციტი და სახელმწიფო ვალი[6].

დიაგრამა 1 ეკონომიკური თავისუფლების არსებული ტენდენცია[7]



[4] UN, http://www.ungeorgia.ge/eng/news_center/in_focus?info_id=269; განმარტებითი ბარათი 2014 წლის ადამიანური განვითარების ანგარიშში ასახულ შედგენილ ინდექსთან დაკავშირებით.
[5] Freedom House-ის დამოუკიდებელი მედია რეიტინგი. http://freedomhouse.org/report/nations-transit/2014/georgia
[6] 2013 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, Heritage Foundation. http://akgul.bilkent.edu.tr/demokrasi/Heritage-economic-freedom-2013.pdf.
[7] იქვე

2013 წლის მონაცემების შესაბამისად საქართველო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის პირველ ადგილზე გავიდა კანონის უზენაესობის ინდექსის მიხედვით და 31-ე ადგილი დაიკავა. ქვეყანა რეგიონში ორი თვალსაზრისით ლიდერობს: კორუფციის აღმოფხვრა და კატეგორია „სხვა“. საქართველოს საუკეთესო შედეგი უსაფრთხოების სფეროში აქვს და ამ მხრივ მე-17 ადგილს იკავებს. ზემოხსენებულისაგან განსხვავებით ქვეყანამ 55-ე ადგილი დაიკავა მთავრობის უფლებამოსილებაზე ეფექტური კონტროლის მექანიზმების არსებობის თვალსაზრისით.

ეკონომიკური კონტექსტი

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად განისაზღვრა კერძო სექტორის თავისუფალი განვითარებისთვის საჭირო წინაპირობები, კერძოდ, ეფექტური და გამჭვირვალე მთავრობა და ბიზნესში ჩაურევლობა. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერასთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ევროკავშირთან დაახლოებაზე ორიენტირებული პოლიტიკის ეფექტურ განხორციელებას, კერძოდ კი ანტიკორუფციული ზომების გატარებასა და საჯარო სამსახურის შემდგომ განვითარებას. იმავდროულად აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე, ბიზნესის განვითარებაზე და ასოცირების თაობაზე ხელშეკრულებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ხელშეკრულების (DCFTA) მოთხოვნების შესრულებაზე, რაც არა მხოლოდ საქართველოს ევროპასთან უფრო ღრმა ინტეგრირების პროცესის წინაპირობაა, არამედ ასევე ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის აუცილებელი პირობაც.

2013 წელს საქართველოს მშპ-ს რეალურმა ზრდამ 3.2%-ს მიაღწია. საშუალო წლიური ინფლაციის მაჩვენებელი -0.5%-ით შემცირდა და 2013 წლის ბოლოსთვის 2.4-ს მიაღწია [9].

დიაგრამა 2 ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს დინამიკა [10]

მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის „Doing Business“ 2014 წლის ანგარიშის შესაბამისად საქართველომ 189 ქვეყანას შორის მე-8 ადგილი დაიკავა ბიზნესის კეთების სიმარტივის თვალსაზრისით. 2006 წლიდან მოყოლებული საქართველო 104 პუნქტით დაწინაურდა (2006 წელს ქვეყანა 112-ე ადგილზე იყო). მსოფლიო ბანკის შესაბამისად 2005 წლიდან საქართველო როგორც ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის, ასევე გლობალურად, მოცემული თვალსაზრისით მდგომარეობის გაუმჯობესების მხრივ ქვეყნების პირველ ათეულში შედის: „საქართველოში 2005 წლის შემდეგ 36 ინსტიტუციონალური და მარეგულირებელი რეფორმა ჩატარდა და ქვეყანამ ბიზნესის კეთების ყველა პარამეტრის მიხედვით მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მიაღწია“.

საქართველომ გააადვილა ტრანსსასაზღვრო ვაჭრობა ერთი ფანჯრის პრინციპით მომუშავე სასაზღვრო-გამშვები ზონების გახსნის გზით ფოთსა და თბილისში. საქართველომ ასევე გააძლიერა თავისი დაცული ტრანზაქციების სისტემა. სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შედეგად უსაფრთხოება გავრცელდა სხვადასხვა პროდუქტებზე, შემოსავლებზე და უზრუნველყოფის სახით გამოყენებული აქტივების ჩანაცვლებაზე. საქართველოს კარგი შედეგები ასევე იმით აიხსნება, რომ ქვეყანამ არჩევანი დაბალანსებული რეგულირების სასარგებლოდ გააკეთა. რეგიონის 5 ქვეყანას შორის, რომლებიც პირველ ათეულში შევიდნენ როგორც ყველაზე წარმატებული რეფორმატორები, საქართველომ ორი მიმართულებით მიაღწია საუკეთესო შედეგს: რეგულირების გამარტივება და დანახარჯების შემცირება და სამართლებრივი ინსტიტუტების გაძლიერება.

დიაგრამა 3 მსოფლიო ბანკის ანგარიშში “Doing Business” სიადვილის მიხედვით რანჟირების დინამიკა [11]



[9] წყარო: საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო http://www.economy.ge/uploads/meniu_publikacieb/ouer/OUTLOOK_ENG__2014_5.pdf
[10] წყარო: საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური
[11] მსოფლიო ბანკის/IFC-ს ანგარიში „Doing Business“ http://www.doingbusiness.org/~/media/GIAWB/Doing%20Business/Documents/Annual-Reports/En glish/DB13-full-report.pdf

საქართველომ 7 ქულიდან 4.2 ქულა მიიღო მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსებთან ხელმისაწვდომობა, სამუშაო ძალის შესაბამისი კვალიფიციურობა და დაბალი პროფესიული ეთიკა ბიზნესის კეთების სფეროში კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება.

2014 წელს საქართველოს მთავრობამ 2020 წლის პერიოდამდე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია დაამტკიცა. ეს არის ქვეყნის პირველი სტრატეგიული დოკუმენტი, რომელშიც ჩამოყალიბებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიზნები და მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მიდგომები.

ასეთი დოკუმენტის არსებობა კარგ საფუძველს ქმნის შემდგომი 6 წლის განმავლობაში შედეგების გაუმჯობესებისთვის და ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით ხელშესახები შედეგების მიღწევისთვის.

ათასწლეულის განვითარების მიზნების ანალიზი

MDG 1. უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა

1.1. ამოცანა 1

2015 წლისთვის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის წილის განახევრება

საქართველომ გარდამავალი პერიოდის ადრეული ეტაპიდანვე მიაღწია შთამბეჭდავ ეკონომიკურ ზრდას, რაც ძირითადად გარკვეული რეფორმების გატარებით იყო განპირობებული. ერთ სულ მოსახლეზე მშპ 2000 წელს არსებული 690 აშშ დოლარიდან 2013 წელს 3597 აშშ დოლარამდე გაიზარდა. ეკონომიკური განვითარების პოზიტიურ ტენდენციებზე 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა და გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა იქონია უარყოფითი ზეგავლენა, თუმცა 2010 წელს ნეგატიური ტენდენციის შემცირება გამოიკვეთა. 2013 წელს საქართველოს ეკონომიკა 3.2 %-ით გაიზარდა.

ეკონომიკური ზრდის პარალელურად სიღარიბის შემცირების ტენდენციაც გამოიკვეთა. არსებითად შემცირდა სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა და ეს მაჩვენებელი 21%-იდან 14.8%-მზე შემცირდა. ასევე შემცირდა უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა და ეს მაჩვენებელი 2010 წელს არსებული 6.7%-იდან 2012 წელს 3.7%-მდე შემცირდა. ასევე შემცირდა სიღარიბის სიმწვავე.

დიაგრამა 4 საერთო და უკიდურესი სიღარიბის თვალსაზრისით არსებული ტენდენციები [12]



[12] წყარო: საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო http://www.economy.ge/uploads/meniu_publikacieb/ouer/OUTLOOK_ENG__2014_5.pdf

ღარიბი მოსახლეობის დაახლოებით 66% რაიონებში ცხოვრობს[13]. 2012 წელს, რაიონების მოსახლეობის 18.8% და ქალაქში მცხოვრები მოსახლეობის 10.5% ცხოვრობდა სიღარიბეში; უკიდურეს სიღარიბეში კი რაიონებში მცხოვრები მოსახლეობის 5.34% ცხოვრობდა, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი ქალაქში 1.96%-ს შეადგენდა. რაც შეეხება საერთო სიღარიბეს, სიღარიბე უფრო მწვავედაა გამოხატული რაიონებსა და სოფლებში, ვიდრე ქალაქში. 2010 წელს შემუშავდა რეგიონული განვითარების სტრატეგია, რომლის მიზანს საქართველოს რეგიონებს შორის არსებული მკვეთრად გამოხატული უთანასწორობის დაბალანსება წარმოადგენდა. 2013 წელს კი საქართველოს მთავრობამ ადგილობრივი თვითმმართველობების რეფორმირება დაიწყო. ამ შემთხვევაშიც მთავარ მიზანს რეგიონების გაძლიერება და მმართველობის პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობა წარმოადგენდა. მთავრობა მოცემულ რეფორმას მოიაზრებდა როგორც დემოკრატიის, ინსტიტუტების გაძლიერების და ქვეყანაში სიღარიბის შემცირების წინაპირობას. 2013 წლის ოქტომბერში საქართველოს მთავრობამ ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ ორგანული კანონი მიიღო, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულ იქნა თვითმმართველი ქალაქების რაოდენობის გაზრდა და მერებისა და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევა.

სოციალური დაცვის სქემების დანერგვა და მათი მუდმივი გაფართოება სოციალურად ყველაზე დაუცველი მოსახლეობის ჯგუფების, მათ შორის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის, ხანდაზმული პენსიონერების და უნარშეზღუდული პირების სოციალური მხარდაჭერის და დაცვის ქმედით მექანიზმს წარმოადგენს. 2013 წელს ხანდაზმულობის პენსიები 2012 წლის საბაზისო პენსიიდან ჯერ 50%-ით, ხოლო შემდეგ 100%-ით გაიზარდა. მთლიანობაში, 2000 წლიდან მოყოლებული, როდესაც ხანდაზმული პენსიონერების სოციალური დახმარება 14 ლარს შეადგენდა, 2013 წლამდე 10.7-ჯერ გაიზარდა და შეადგინა 150 ლარი. ხანდაზმული პენსიონერების და მიზნობრივი სოციალური დახმარება (TSA) საქართველოში სიღარიბის შემცირების ძირითადი განმაპირობებელი მექანიზმებია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საპენსიო სისტემასთან დაკავშირებული ფისკალური ტვირთი ზედმიწევნით მონიტორინგს საჭიროებს, რადგანაც ქვეყანაში მოსახლეობის დაბერების ტენდენცია შეინიშნება და, გარდა ამისა, საზოგადოებაში არსებობს მოლოდინი სოციალური დახმარების მოცულობების შემდგომი გაზრდისა.

მიუხედავად გარკვეული მიღწევებისა, სიღარიბის მასშტაბები და სიმწვავე კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება. UNICEF-ის კეთილდღეობის კვლევის შესაბამისად 0-დან 16 წლამდე 77,000 ბავშვი დღეში 1.25 აშშ დოლარზე ცხოვრობს, ხოლო 200,000 ბავშვზე მეტი (საქართველოს ბავშვების დაახლოებით ერთი მეოთხედი) საშუალო მოხმარების 60%-ზე ნაკლებს მოიხმარს, რაც დღეში დაახლოებით 2 აშშ დოლარს შეადგენს. UNICEF-ის 2013 წლის მონაცემები საველე კვლევების შედეგებს ეყრდნობა, რომელთა შესაბამისად ბავშვებში უკიდურესი სიღარიბის შემცირების ტენდენცია გამოიკვეთა და ეს მაჩვენებელი 2011 წელს დაფიქსირებული 9.4%-დან 2013 წელს ფიქსირებულ 6%-მდე შემცირდა. ბავშვების მდგომარეობა გაორმაგებული სოციალური დახმარებების და ხანდაზმულობის პენსიის გაზრდის არაპირდაპირი ზემოქმედების შედეგად გაუმჯობესდა. თუმცა, ბავშვების 27% შიდამეურნეობების საშუალო შემოსავლის 60%-ზე ნაკლებ შემოსავალზე ცხოვრობს[14].

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში უმუშევრობა უმნიშვნელოდ შემცირდა, 2013 წლის მონაცემებით იგი კვლავ მაღალია და 14.6%-ს შეადგენს, ხოლო ახალგაზრდებში უმუშევრობა 30%-ს აღემატება (ცხრილი 3). UNDP-ის 2012 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, მოსახლეობის 70% სოციალურად ან ეკონომიკურად დაუცველია[15].

ცხრილი 2 უმუშევრობა და დასაქმება [16]

	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
15-24 წლის ორივე სქესის ახალგაზრდების ახალგაზრდების დასაქმების მაჩვენებელი	29.9	29.1	25.0	28.8	23.1	24.3	23.0	21.4	23.1	22.7	24.2	25.9	27.4	25.4
დასაქმებულების წილი მთლიან მოსახლეობასთან მიმართებაში, ორივე სქესი, პროცენტებში	58.5	58.8	56.8	58.6	56.7	55.2	53.8	54.9	52.3	52.9	53.8	55.4	56.8	56.6
დასაქმებულების წილი მთლიან მოსახლეობასთან მიმართებაში, მამაკაცები, პროცენტებში	66.8	67.1	65.1	67.5	64.3	62.6	61.2	63.1	61.1	61.1	61.2	63.7	65.6	64.5
დასაქმებულების წილი მთლიან მოსახლეობასთან მიმართებაში, ქალები, პროცენტებში	51.6	52.0	49.9	51.0	50.2	48.8	47.4	48.1	44.9	45.9	47.5	48.5	49.5	49.8

[13] რაიონებსა და ურბანულ დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა პრაქტიკულად თანაბრად არის განაწილებული.
[14] UNICEF, საქართველოს კეთილდღეობის კვლევა, 2012, http://unicef.ge/115/The-Well-being-of-Children-and-their-Families-in-Georgia---Welfare-Monitoring-Survey.-Second-Stage-2011/156
[15] UNDP, ეკონომიკური და სოციალური დაუცველობა საქართველოში, 2012, http://www.ge.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/GE_vnerability_eng.pdf
[16] წყარო; ეროვნული სტატისტიკის სამსახური

ცხრილი 3 უმუშევრობის მაჩვენებლები ასაკობრივი ჯგუფების ჭრილში [17]

2013												1000 ადამიანი
	15-19	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45-49	50-54	55-59	60-64	65+	Total
აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), სულ	40.8	162.4	197.6	181.3	182.9	201.8	218.4	231.6	192.6	149.7	244.6	2003.9
დასაქმებულები	23.2	107.6	146.9	145.0	153.4	175.0	193.6	206.9	177.4	141.7	241.2	1712.1
დაქირავებულები	4.9	53.0	85.0	75.5	71.5	76.5	80.3	79.3	61.2	40.1	30.8	658.2
თვითდასაქმებული	18.0	52.5	61.2	68.9	80.9	97.8	111.3	127.4	115.1	100.8	209.8	1043.8
არაიდენტიფიცირებული დასაქმებულები	0.4	2.1	0.7	0.6	1.0	0.7	2.0	0.2	1.1	0.7	0.6	10.0
დაუსაქმებელი	17.6	54.8	50.7	36.3	29.4	26.8	24.9	24.7	15.2	8.0	3.4	291.8
სამუშაო ძალის ფარგლებს გარეთ არსებული მოსახლეობა	196.9	115.9	65.8	48.7	42.8	32.7	35.4	48.5	46.3	54.1	335.1	1022.3
უმუშევრობის მაჩვენებელი, %-ებში	43.0	33.8	25.7	20.0	16.1	13.3	11.4	10.6	7.9	5.4	1.4	14.6
ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებელი, %-ში	17.2	58.4	75.0	78.8	81.0	86.0	86.0	82.7	80.6	73.4	42.2	66.2
დასაქმების მაჩვენებელი, %-ში	9.8	38.7	55.8	63.0	68.0	74.6	76.2	73.9	74.3	69.5	41.6	56.6

ცხრილი 4 დასაქმების თვალსაზრისით არსებული ტენდენციები საქართველოში, 2000-2012 [18]

	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
ახალგაზრდების დასაქმების მაჩვენებელი, ასაკობრივი ჯგუფი 15-24, ორივე სქესი	21.2	20.1	27.9	24.6	28.3	28.3	29.3	31.5	35.5	38.7	36.3	35.6	---
დასაქმების წილი მოსახლეობასთან მიმართებაში, ორივე სქესი, %	60.11	58.8	56.8	58.4	56.6	55.2	53.8	54.9	52.3	52.9	53.8	55.4	56.8
დასაქმების წილი მოსახლეობასთან მიმართებაში, მამაკაცები, %	67.3	67.1	65.1	67.4	64.2	62.6	61.2	63.1	61.1	61.1	61.2	63,7	65.6
დასაქმების წილი მოსახლეობასთან მიმართებაში, ქალები, %	54.0	52,0	49.9	50.9	50.2	48.8	47.7	48.1	44.9	45.9	47.5	48.5	49.5

[17] წყარო; ეროვნული სტატისტიკის სამსახური
[18] წყარო: ეროვნული სტატისტიკის სამსახური

საქართველოს მთავრობა დღესდღეობით ახალ სტრატეგიებსა და ეკონომიკური რეფორმების გატარებაზე მუშაობს 2014-2020 წლების პერიოდში მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით. საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროგრამა კერძო სექტორის და ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობაზე, დაფინანსების მისაწვდომობის გაუმჯობესებაზე და ადგილობრივი თვითმმართველობების რეფორმების გატარებაზეა ორიენტირებული.

მიზნობრივი სოციალური დახმარება სიღარიბის დაძლევის ერთ ერთ ძირითად ინსტრუმენტად რჩება და ახალი სტრატეგია მიზნად ისახავს შიდამეურნეობების ყველაზე ღარიბი წლის მოცვის გაფართოებას 40%-დან 80%-მდე. გარდა ამისა ყურადღება გამახვილებულია ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე კერძო სექტორის განვითარების მხარდაჭერის გზით. სიღარიბის მდგრად შემცირებას გრძელვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პრობლემისადმი კომპლექსური მიდგომა, რომლის პრიორიტეტი იქნება ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, სამუშაო ძალის მონაწილეობის, განსაკუთრებით კი ქალების მონაწილეობის გაზრდა.

საქართველოს მთავრობის უმთავრესი მიზანია 2020 წლისთვის უფრო სწრაფი, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა, რომელიც საშუალოდ წლიურ 7%-ს შეადგენს და GINI კოეფიციენტის შემცირება 0.41-დან 0.35-მდე. საპროგნოზო მაჩვენებლები ეყრდნობა ვარაუდს, რომ სტრუქტურული რეფორმები ხელს შეუწყობს ინვესტიციების, დასაქმების და პროდუქტიულობის სწრაფ და მდგრად გაზრდას და DCFTA-სგან პოტენციური სარგებლის რეალურად მიღებას ექსპორტისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაზრდის გზით.

საქართველომ ასევე უნდა უზრუნველყოს მონაცემების ხარისხის და სანდოობის გაუმჯობესება, რათა გაიზარდოს სიღარიბის მონიტორინგის და მისი მახასიათებლების შეფასების ეფექტურობა, გადაწყვეტილებების მიღებაზე პასუხისმგებელ პირებს უკეთესი ხარისხის ინფორმაცია მიეწოდოს და პროგრამების შესრულება უფრო მჭიდროდ იყოს დაკავშირებული სიღარიბის შემცირების მიზნებთან. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა მონაცემების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

1.2. ამოცანა 2

2015 წლისთვის იმ ადამიანების წილის განახევრება, რომელთა ორგანიზმსაც საკვები აკლია

წონანაკლული ბავშვების პრევალენტობა დაბალი რჩება. მრავალინდიკატორიანი კლასტერული კვლევის შესაბამისად (MICS, 2005)[19] 5 წლამდე ბავშვების 2.1% ზომიერად წონანაკლულია, ხოლო უაღრესად წონანაკლული ბავშვების წილი 0.3%-ს შეადგენს (ცხრილი 5). იგივე შედეგები გამოიკვეთა კვებითი თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის ეროვნული კვლევის შედეგად, რომელიც 2009 წელს ჩატარდა. მიუხედავად იმისა, რომ წონანაკლულობის პრევალენტობა დაბალია, UNICEF-ის 2012 წლის კვლევამ გამოავლინა, რომ ორსულ ქალებსა და ბავშვებში მიკროელემენტების უკმარისობის პრევალენტობა მაღალია და საქართველოს მთავრობამ ამ პრობლემის გადაჭრის მიმართულებით დაიწყო მუშაობა 2014 წელს საკვების მიკროელემენტებით გამდიდრების დანამატების პროგრამებისა და რეგულაციების დანერგვის გზით.

ცხრილი 5: 5 წლამდე ასაკის წონანაკლული ბავშვების პრევალენტობა (%)[20]

	ნორმაზე ძალიან დაბალი წონა	ზომიერი წონა	ნორმალური წონა
სულ	14 (0.5%)	25 (0.6%)	2981 (98.8%)
მამრობითი სქესის	7 (0.4%)	19 (0.9%)	1599 (98.7%)
მდედრობითი სქესის	7 (0.6%)	6 (0.4%)	1382 (99.0%)
რეგიონები			
თბილისი	3 (0.8%)	1 (0.3%)	360 (98.8%)
აჭარა და გურია	2 (0.6%)	1 (0.3%)	337 (99.1%)
იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმი	1 (0.5%)	2 (1.0%)	204 (98.6%)
კახეთი	2 (0.7%)	1 (0.3%)	304 (99.0%)
ქვემო ქართლი	2 (0.3%)	8 (1.1%)	751 (98.7%)
სამეგრელო	1 (0.4%)	3 (1.1%)	272 (98.6%)
სამცხე-ჯავახეთი	3 (0.6%)	8 (1.6%)	490 (97.8%)
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	0	1 (0.4%)	263 (99.6%)

[19] წყარო; ეროვნული სტატისტიკის სამსახური
UNICEF მრავალინდიკატორიანი კლასტერული კვლევა http://www.childinfo.org/files/MICS3_Georgia_FinalReport_2005_Eng.pdf
[20] წყარო: საქართველოში კვებითი თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის ეროვნული კვლევა, 2009.

გაეროს სააგენტოები და მსოფლიო ბანკი სხვა, ბილატერალურ დონორებთან ერთად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სიღარიბესა და ეკონომიკურ და სოციალურ მოწყვლადობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ორიენტირების ხელშეწყობაში და ისინი დახმარებას უწევენ მთავრობას სიღარიბის და შიმშილის აღმოფხვრაზე მიმართული პროგრამების განხორციელების გზით.

1.3. ამოცანა 3

იძულებით გადაადგილებული პირებისა და კონფლიქტებისა და ბუნებრივი კატასტროფებისგან დაზარალებული პირების სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაცია და სამოქალაქო ინტეგრაცია

იძულებით გადაადგილებული პირები

საქართველოში კონფლიქტების რამდენიმე ტალღის შედეგად დაახლოებით 450,000 ადამიანია იძულებით გადაადგილებული. პირველი კონფლიქტი 1990-იანი წლების დასაწყისში წარმოიშვა ე.წ. სამხრეთ ოსეთში, ხოლო შემდეგ აფხაზეთში. 2008 წელს რუსეთ-საქართველოს შორის კონფლიქტს ჰქონდა ადგილი სამხრეთ ოსეთის ფედერაციასთან დაკავშირებით. 22 წელი გავიდა კონფლიქტების პირველი ტალღის შემდეგ, მაგრამ ისინი ჯერაც არ დარეგულირებულა და დაახლოებით 257,127 ადამიანი დღესაც იძულებით გადაადგილებულ პირად რჩება. იძულებით გადაადგილებული პირების უმეტესი ნაწილი აფხაზეთიდაა და მათი 60%-ზე მეტი თბილისში, ზუგდიდში და ქუთაისში ცხოვრობს.

საქართველოს მთავრობის ძირითად მიზანს კვლავაც იძულებით გადაადგილებული პირების სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება წარმოადგენს იმ დრომდე, სანამ მათი თავიანთ საცხოვრებელ ადგილას ღირსეულად და უსაფრთხოდ დაბრუნება გახდება შესაძლებელი. იძულებით გადაადგილებული პირების რაოდენობის თაობაზე ინფორმაციის განახლებისა და პოლიტიკის დაგეგმარების პროცესის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ იძულებით გადაადგილებულ პირთა ხელახალი რეგისტრაცია ჩაატარა მათი რეალური რაოდენობის დასადგენად. აღრიცხვის შედეგად დადგინდა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა 257,127 ადამიანს, ანუ 85,027 ოჯახს შეადგენს. თუმცა აღსანიშნავია, რომ იძულებით გადაადგილებული პირების ნაწილი, რომელმაც საქართველო დროებით დატოვა

და უკან დაბრუნების საშუალება რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადაში არ ჰქონდათ, ჯერ არ არიან დარეგისტრირებულები.

იძულებით გადაადგილებულ პირთა ყველაზე მაღალი კონცენტრაცია თბილისშია, სადაც ათწლეულის განმავლობაში ცხოვრების შემდეგ მათ ინტეგრირების გარკვეულ დონეს მიაღწიეს. იძულებით გადაადგილებული პირებისთვის დედაქალაქში უფრო ადვილია შემოსავლების წყაროების იდენტიფიცირება და სოციალურ მომსახურებებზე წვდომა, ვიდრე ქვეყნის სხვა ნაწილებში. საქართველოს ახალმა მთავრობამ, აცნობიერებს რა ამ ფაქტორებს, გადაწყვეტილება მიიღო თბილისში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირებს საცხოვრებელი და რეაბილიტაცია შესთავაზოს. პრობლემის ასეთი გადაწყვეტა მისაღებია იძულებით გადაადგილებული პირებისთვის, როგორც ქვეყანაში ყველაზე დაუცველი კატეგორიისთვის, ვიდრე მანამდე არსებული პრაქტიკა, როდესაც მათი განსახლება ხდებოდა მოშორებულ ტერიტორიებზე და საკმაოდ ხშირად, მათი თანხმობის გარეშე. მათ არ გააჩნდათ არანაირი შემოსავლის წყარო, რის გამოც ისინი ტოვებდნენ მთავრობის მიერ უზრუნველყოფილ საცხოვრებელს და იძულებული იყვნენ ქალაქებში დაექირავებინათ ბინები და იქ ეცხოვრათ და ემუშავათ წლების განმავლობაში.

UNDP-ს მიერ საქართველოში სოციალური და ეკონომიკური მოწყვლადობის შესწავლის მიზნით ჩატარებულმა ბოლო კვლევამ[21] აჩვენა, რომ იძულებით გადაადგილებული პირები დღესაც სამ ყველაზე დაუცველ კატეგორიას მიეკუთვნებიან და მათი მოწყვლადობა ფიზიკური და ადამიანური რესურსების (ჯანმრთელობა) უქონლობითაა განპირობებული. სიღარიბის შემთხვევები იძულებით გადაადგილებულ პირებში ყველაზე მაღალია. მიუხედავად იმისა, რომ საცხოვრისი ყველაზე მწვავე საჭიროებას წარმოადგენს, ასევე სერიოზული პრობლემაა საარსებო საშუალებების უქონლობა: 60%-ზე მეტ იძულებით გადაადგილებულ პირს არ გააჩნია საკუთარი საცხოვრებელი, ხოლო 80%-ზე მეტს არა ჰყავს პირუტყვი. ასევე, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა ბევრად უფრო ცუდია, ვიდრე მოსახლეობის დანარჩენი ნაწილის ჯანმრთელობის მდგომარეობა (ამ ოჯახების 66 %-ში ქრონიკული დაავადების მქონე 1 პირი მაინც ცხოვრობს).

აღნიშნული სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის თვალსაზრისით. 2012 წლიდან მოყოლებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ დაახლოებით 2100 ოჯახი უზრუნველყო საცხოვრებლით, რაც დაახლოებით 8000 ადამიანს შეადგენს. ამჟამად იძულებით გადაადგილებული 28 528 ოჯახიდან, რომელთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის პრობლემა გადაიჭრა (DHS) - 15,441 ოჯახმა საკუთრებაში მიიღო ფართი, რომელიც მათ სახელზეა დარეგისტრირებული საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (NAPR). მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ მათი საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემები კვლავ არსებობს, რადგანაც 56,499 იძულებით გადაადგილებულ ოჯახს არ გააჩნია მდგრადი საცხოვრისი, საიდანაც 35,000 იძულებით გადაადგილებულ ოჯახს გადაუდებლად ესაჭიროება საცხოვრებლით დახმარება. 2013 წელს საცხოვრებელი ფართის განაწილების ახალი კრიტერიუმები დაინერგა, რათა ეს პროცესი უფრო გასაგები და გამჭვირვალე გამხდარიყო. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესის გამჭვირვალეობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ამჟამადაც მიმდინარეობს მუშაობა.

გარდა იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით აიღო ვალდებუ-

[21] UNDP. საქართველოს ეკონომიკური და სოციალური მოწყვლადობა
http://www.ge.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/GE_vnerability_eng.pdf

ლებები, განსხვავებით მანამდე არსებული მიდგომებისგან, როდესაც სახელმწიფო დახმარება ძირითადად პირდაპირი ფინანსური შემწეობების უზრუნველყოფით და კომუნალური გადასახადების დაფარვით შემოიფარგლებოდა, ახალმა მთავრობამ ასევე იძულებით გადაადგილებული პირებისთვის საარსებო წყაროების უზრუნველყოფაზე მიმართული ძალისხმევის კოორდინირება და მხარდაჭერა იკისრა. ასეთი მიდგომები ხელს შეუწყობს იმას, რომ იძულებით გადაადგილებული პირები ნაკლებად დამოკიდებული იქნებიან სახელმწიფო დახმარებაზე, საკუთარი შესაძლებლობების უფრო ეფექტურად რეალიზაციას შეძლებენ და წვლილს შეიტანენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

ამ თვალსაზრისით იძულებით გადაადგილებულ პირთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია, რადგანაც ეს ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და ამ პირების დასაქმების შესაძლებლობების გაზრდას. სტრატეგია ისეთ სფეროებზეა მიმართული, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, დაფინანსებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდა, შესაძლებლობების განვითარება, პროფესიული განათლების მისაწვდომობის გაზრდა, სამუშაო ადგილების შექმნა და სოციალური საწარმოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

მე-20 საუკუნის 80-90-იანი წლების პერიოდში მთელი რიგი ოჯახები სხვადასხვა ბუნებრივი კატასტროფებისგან დაზარალდნენ (მეწყერი აჭარაში, მიწისძვრა საჩხერე-ჭიათურაში, დიდთოვლობა და ზვავები სვანეთში, მიწისძვრა რაჭა-ლეჩხუმში და სხვა). დაახლოებით 10 000 ოჯახი აღიარებული იქნა, როგორც ეკოლოგიური მიგრანტები და ისინი შესაბამისი ტერიტორიებიდან განსახლებას საჭიროებენ.

2004-2009 წლების განმავლობაში სახელმწიფომ ამ ოჯახებისთვის 1096 სახლი შეიძინა. საცხოვრებელი ფართების შესყიდვა და განაწილება ინდივიდუალური განცხადებების საფუძველზე ხორციელდებოდა და ამასთან დაკავშირებით მარეგულირებელი ნორმატიული აქტები ან პროცედურები არ შემუშავებულა, რის გამოც მოცემული პროცესი ნაკლებად გამჭვირვალე იყო. 2013 წლის ნოემბერში მიღებული იქნა მარეგულირებელი აქტი, რომლითაც საცხოვრებლის განაწილების წესები და განცხადებების შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრა. 2013 წელს 33 სახლი იქნა შეძენილი ახალი რეგულაციების შესაბამისად.

იძულებით გადაადგილებული პირების თაობაზე გადასინჯული კანონის შესაბამისად 1990-იან წლებში მომხდარი კონფლიქტით და 2008 წლის კონფლიქტით დაზარალებულ პირებს საშუალება აქვთ გააკეთონ განაცხადი იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მისაღებად. მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანები ამჟამად საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე ცხოვრობენ, ოკუპაციის შედეგად მათ საარსებო საშუალებები დაკარგეს და არა აქვთ საშუალება უსაფრთხოდ დაუბრუნდნენ თავის საცხოვრებელ ადგილს.

2013 წელს სპეციალური სამთავრობო კომისია შეიქმნა კონფლიქტებით დაზარალებულ პირთა, განსაკუთრებით კი, ქალების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. კომისიის ერთ-ერთი გადაწყვეტილების შესაბამისად ახალგაზრდებს, რომლებიც კონფლიქტისგან დაზარალდნენ, სკოლებსა და უმაღლესებში უფასოდ სწავლის საშუალება მიეცემათ. რადგანაც კონფლიქტის შედეგად ამ რეგიონების ინფრასტრუქტურა და საარსებო საშუალებები განადგურდა ან სერიოზულად დაზიანდა, სპეციალური ზომები დაისახა, რომლებიც ამჟამად ხორციელდება. ასეთ ზომებს შორისაა მიწების უფასო რეგისტრაცია, გზების, წყალმომარაგებისა და გაზმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია და სხვა.

MDG 2. საქართველოს განათლების სისტემის განვითარებული ქვეყნების განათლების სისტემებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა ხარისხისა და ინსტიტუციონალური მოწყობის გაუმჯობესების გზით

2.1. ამოცანა 4

სასკოლო განათლების 12-წლიან ციკლზე გადაყვანა და სასკოლო განათლების ხარისხის შეფასების საერთაშორისო სისტემებში მონაწილეობის მიღება

საქართველოს ძლიერი ტრადიციები აქვს განათლების სფეროში და ქვეყნის მასშტაბით დაწყებით სკოლებში ბავშვთა ჩართულობის მაჩვენებელი თითქმის უნივერსალურია. ქვეყანაში დაწყებით სკოლებში ბავშვთა ჩართულობის მაღალი მაჩვენებელი 2000 წლიდან მოყოლებული შენარჩუნებულია (96%-100%). თანამედროვე სასკოლო განათლების სტანდარტებთან შესაბამისობა სასკოლო განათლების 12-წლიან ციკლზე გადაყვანით იქნა უზრუნველყოფილი. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის შექმნის შედეგად შეფასების ეროვნული სისტემები შესაბამისობაში მოვიდა საერთაშორისო სტანდარტებთან და საქართველო მონაწილეობას იღებს სხვადასხვა საერთაშორისო კვლევებში (მაგ. TIMSS[22], PIRLS[23] and PISA[24]), რომლებიც სისტემური ხარვეზების იდენტიფიცირებას და განათლების დაგეგმვისა და ხარისხის გაუმჯობესებას უწყობს ხელს.

მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ განათლების ხარისხი კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება. 2011 წელს ჩატარებული მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო ტენდენციების კვლევის შედეგების შესაბამისად (TIMSS) ქართველმა მე-8 კლასელებმა ევროპის 28 ქვეყანას შორის, რომლებიც კვლევაში იღებდნენ მონაწილეობას, 26-ე ადგილი დაიკავეს მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში[25]. UNESCO-ს შესაბამისად საშუალო სკოლებში რეგისტრაციის საერთო მაჩვენებელი 1999 წელს არსებული 79%-იდან 90,1%-მდე გაიზარდა 2009-2011 წლების პერიოდში და

აღსანიშნავია, რომ გენდერული თვალსაზრისით უთანასწორობა არ გამოვლენილა. აღსანიშნავია, რომ ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტმა ახლახანს თავისი შეშფოთება გამოხატა იმასთან დაკავშირებით, რომ სკოლებიდან ბავშვების გამოსვლის/გარიცხვის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, რაც განსაკუთრებით რეგიონებისთვისაა დამახასიათებელი.

განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მთელი რიგი ზომები იქნა გატარებული. აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში რეორგანიზაცია ჩატარდა და იგი ამჟამად განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) სახით ჩამოყალიბდა და იგი განათლების ხარისხზე პასუხისმგებელ ორგანოს წარმოადგენს. ცენტრი ევროპის უმაღლესი განათლების სფეროში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან შესაბამისობაში ფუნქციონირებს. 2013 წელს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცდა. სტრატეგიაში გაწერილია საგანმანათლებლო ინსტიტუტების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მექანიზმების შემდგომი განვითარების გზები. 2013 წელს ცენტრი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის წევრი გახდა (ENQA). ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია ცენტრის საერთოევროპული უმაღლესი განათლების სივრცეში ინტეგრირების მიმართულებით. 2012 წლიდან საქართველო მონაწილეობას იღებს პროექტში სახელმწოდებით "ENIC შესაძლებლობების განვითარება", რომელიც გაერთიანებული სამეფოს ინიციატივით ხორციელდება და რომლის მიზანია საუკეთესო პრაქტიკების იდენტიფიცირება აკადემიური აღიარებისა და შეფასების სფეროში და უცხოური საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის პროცესში განათლების შედეგებზე აქცენტირება და ინფორმაციის გაზიარება საგანმანათლებლო სისტემებისა და კვალიფიკაციის საკითხებთან დაკავშირებით. 2009 წლიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის განვითარებაზე მუშაობს (EMIS). გადაისინჯა განათლების ინდიკატორების წყება მათი საერთაშორისო ინდიკატორებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ბავშვებს, რომლებმაც სკოლა დატოვეს. მოსწავლეების თაობაზე ინფორმაცია სკოლების დონეზე აღირიცხება. ეს ინფორმაცია შეიძლება გაფართოვდეს და რისკის ინდიკატორებსაც

[22] მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო ტენდენციების კვლევა, განათლების სტატისტიკის ეროვნული ცენტრი, აშშ.
[23] წიგნიერების პროგრესის საერთაშორისო კვლევა, აშშ.
[24] სტუდენტების საერთაშორისო შეფასების პროგრამა, OECD.
[25] მონაცემები მოყვანილია TIMSS-ის ოფიციალური ვებ გვერდიდან www.timss.bc.edu.

მოიცავდეს, რაც იმ მოსწავლეების იდენტიფიცირებისა და მონიტორინგის საშუალებას იძლევა, რომლებიც მაღალი ალბათობით სკოლას დატოვებენ. გარდა ამისა, EMIS-ი დაკავშირებულია სამოქალაქო რეესტრთან, რაც რეესტრში ბავშვთან დაკავშირებით არსებული მონაცემების EMIS-ში არსებულ მონაცემებთან დაკავშირების საშუალებას იძლევა. ეს სკოლის ფარგლებს გარეთ დარჩენილი ბავშვების იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზაში სასკოლო ასაკის ბავშვების იდენტიფიცირების და EMIS-ის მონაცემთა ბაზასთან შედარების გზით. EMIS-ის მონაცემთა ბაზის საშუალებით შესაძლებელია მოსწავლეებზე თვალყურის მიდევნება როდესაც ისინი ერთი სკოლიდან მეორე სკოლაში გადადიან, რაც ბავშვის სკოლის ფარგლებს გარეშე დარჩენილად არასწორად მიჩნევის შანსს ამცირებს.

დაბალი აკადემიური მიღწევების პრობლემა ბავშვების დაწყებით სკოლებში შესვლამდე იწყება. საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი ადრეული განათლება და სკოლამდელი განათლებაა. ამჟამად სკოლამდელი განათლება ბავშვების 46%-ისთვისაა მისაწვდომი, მაშინ როდესაც 2003 წელს ეს მაჩვენებელი 26%-ს შეადგენდა. სტანდარტების და პროგრამების უქონლობა, რომლებსაც მუნიციპალური ადმინისტრაციები გამოიყენებდნენ სერვის პროვაიდერების მიერ ბავშვებისთვის უკეთესი სერვისების შეთავაზების მიზნით, სერიოზულ გამოწვევად რჩება. თვითმამართველობების თაობაზე კანონში ახლახანს შეტანილი ცვლილებები სკოლამდელი საგანმანათლებლოდაწესებულებებისხელმისაწვდომობას გააუმჯობესებს, რადგანაც სკოლამდელი აღზრდა უფასო გახდა. მიუხედავად ამისა, არასაკმარისი ინფრასტრუქტურისა და ფინანსური რესურსების უკმარისობის გამო ბავშვებისთვის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების უნივერსალური მისაწვდომობა არ არის უზრუნველყოფილი. მთავრობის ძალისხმევა, რომელიც სკოლამდელი აღზრდის უნივერსალური მისაწვდომობის მისაღწევად ეროვნული პოლიტიკისა და კანონმდებლობის მიღებაზეა ორიენტირებული, სისტემის ფარგლებში არსებულ ბარიერებს აღმოფხვრის.

2.2. ამოცანა 5

მესამე საფეხურის საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის სისტემის დანერგვა; თანამედროვე მესამე საფეხურის საგანმანათლებლო სისტემებთან ინსტიტუციური შესაბამისობის უზრუნველყოფა

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, მათ შორის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მექანიზმები, განათლების ხარისხის ამაღლების თაობაზე კანონშია გაწერილი. ავტორიზაციის მექანიზმის მეშვეობით საგანმანათლებლო დაწესებულებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი ენიჭება, თუ იგი შესაბამის სტანდარტებს და შესრულების მიმართ არსებულ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. აკრედიტაციის მექანიზმის მიზანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სისტემატური თვითშეფასების დანერგვის ხელშეწყობა და განათლების ხარისხის გაუმჯობესება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებსა და ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გზით. სტუდენტები სახელმწიფო გრანტს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებენ, თუ საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც ისინი სწავლას აპირებენ, სახელმწიფოს მიერ არის აკრედიტირებული. რეგულირებას დაქვემდებარებული პროგრამები და დოქტურანტურის პროგრამები (PhD) მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაინერგოს, თუ დაწესებულება სრულად გაივლის აკრედიტაციას.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2009 წელს ტერციარული საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის სისტემა დანერგა, რომელიც ნათელ და თანმიმდევრულ სტანდარტებს და მოთხოვნებს ამკვიდრებს სასწავლო პროცესსა და გარემოსთან მიმართებაში. განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმები ძირითადად განათლების ხარისხის ამაღლებასა და სხვადასხვა დონის განათლების მოსაწვდომობის უზრუნველყოფაზეა ორიენტირებული. 2005 წელს ჩატარებულ ბერგენის სამიტზე საქართველო ბოლონიის პროცესს მიუერთდა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მარეგულირებელ აქტებში ცვლილებების შეტანის პროცესი წამოიწყო ბოლონიის პრინციპების უმაღლესი განათლების დონეზე დანერგვის მიზნით.

2013 წელს 187-მა საგანმანათლებლო პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია. მე-2 დიაგრამაზე ნაჩვენებია, რომ 2013 წელს მაგისტრატურისა და დოქტურანტურის უფრო მეტმა პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია, ვიდრე სხვა პროგრამებმა (მათი რაოდენობა დაახლოებით თანაბარია: შესაბამისად 61 და 60):

დიაგრამა 5: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია [26]



[26] განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, http://eqe.ge/uploads/AboutUs/2013_Annual_report_Eng.pdf.

ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა მნიშვნელოვნად შეიცვალა და მოქნილი და ბაზარზე ორიენტირებული სისტემის სახით ჩამოყალიბდა, სადაც დანახარჯების გაზიარება ხდება სტუდენტების სწავლების საფასურის დაფინანსების და კერძო საუნივერსიტეტო სექტორის განვითარების გზით. ტემპი, რომლითაც ეს ცვლილებები ხორციელდება და რეფორმების მოცულობა განაპირობებს იმას, რომ საქართველო რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით უნიკალურ პოზიციას იკავებს[27]. მიუხედავად ამისა, საჭიროა აკრედიტაციის პროცესის შემდგომი გაძლიერება თანამედროვე განათლების სისტემებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

2.3. ამოცანა 6

პროფესიული განათლების სისტემის შრომის ბაზარზე ორიენტირებულ სისტემად გარდაქმნა; პროფესიული განათლების სისტემაში კერძო სექტორის განვითარების ინსტიტუციური ხელშეწყობის სისტემის ჩამოყალიბება

ბოლო ათწლეულის განმავლობაში პროფესიული განათლების სისტემის გაუმჯობესება საქართველოს ერთ ერთ სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. ბოლო წლების განმავლობაში სისტემა მნიშვნელოვნად გარდაიქმნა და პროფესიული განათლების სექტორში მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა. 2012 წელს პროფესიული განათლების სფეროს შემდგომი რეფორმირების მიზნით პროფესიული განათლების და ტრეინინგის რეფორმირების სტრატეგია (2013-2020) და სამოქმედო გეგმა (2014-2017) შემუშავდა და დამტკიცდა. სტრატეგიის მიზნებში საქართველოს ახალგაზრდებში პროფესიული განათლების პოპულარიზაციას და მიმზიდველობის გაზრდა, მისი ხარისხისა და ეფექტურობის ამაღლება, გეოგრაფიული მოცვის გაფართოება, პროფესიული საგანამანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება და ფინანსური მისაწვდომობის გაუმჯობესება შედიოდა.

2013 წლიდან მოყოლებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ზემოთხსენებულ საკითხებზე აქტიურად მუშაობს რამდენიმე მიმართულებით. შემუშავდა პროფესიული და ტექნიკური განათლების დაწესებულებებში მიღებისა და სწავლების დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ყველა პირს საშუალებას აძლევს უფასოდ დაეუფლონ ახალ პროფესიას. გარდა ამისა, დაიგეგმა 26 ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების გახსნა, რათა გაიზარდოს პროფესიული განათლების გეოგრაფიული მოცვის არეალი და შესაბამისად, ამ განათლებისადმი მისაწვდომობა. ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები შემდგომი 5 წლის განმავლობაში ეტაპობრივად გაიხსნება. 2013 წელს სამინისტრომ ინკლუზიური პროფესიული განათლების მოდელის დანერგვა დაიწყო. პროფესიული განათლება ასევე პატიმრებისა და პრობაციონერებისთვის გახდება მისაწვდომი.

ახალი სტრატეგიის შესაბამისად, პროფესიული განათლების სისტემა ფუნდამენტალურად იცვლება. შემუშავდა პროფესიული განათლების ახალი კონცეფცია დაწყებითი და საშუალო პროფესიული განათლების სისტემაში, შრომითი ბაზრის და დასაქმების თვალსაზრისით არსებული პრობლემების და საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ევროპულ სივრცესთან ინტეგრაციის საჭიროებების გათვალისწინებით.

ეკონომიკაში, განათლებაში და დასაქმების სფეროში მომხდარი ცვლილებები პროფესიული განათლების მოდერნიზაციას საჭიროებს, რაც პროფესიული განათლების შრომის ბაზართან უფრო მჭიდრო დაკავშირებას და დასაქმებულებთან უფრო მჭიდრო სოციალურ დიალოგს და თანამშრომლობას გულისხმობს. დღეის მდგომარეობით საქართველოში 15 სახელმწიფო პროფესიული საგანამანათლებლო დაწესებულება და 4 მთავრობის მიერ თანადაფინანსებული პროფესიული საგანამანათლებლო დაწესებულება არსებობს. 2013 წელს წამოწყებულ იქნა "VET საკვალიფიკაციო სისტემის განვითარების" პროგრამა, რომლის მიზანია პროფესიული განათლების პროგრამების ხარისხისა და რელევანტურობის ამაღლება ბაზარზე ორიენტირებული მეთოდოლოგიების დანერგვის გზით. ზემოთხსენებული პროგრამა ითვალისწინებს ინსტიტუციონალური კომპონენტების დახვეწას პროფესიული განათლების სტანდარტების შემუშავების, 50 სპეციალობის სტანდარტების გადასინჯვის და მოდულებზე დაყრდნობილი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესის

[27] ევროკომისია, უმაღლესი განათლება საქართველოში
http://eacea.ec.europa.eu/tempus/participating_countries/overview/georgia_tempus_country_fiche_final.pdf

კოორდინირების მიზნით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პროფესიულ საგანმანათლებლო ინსტიტუტებსა და შრომის ბაზარს შორის კავშირის უქონლობით შექმნილი პრობლემების გადალახვას „პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის“ განხორციელების გზით გეგმავს. პროგრამის მიზანია დახმარება აღმოუჩინოს 9-11 კლასების მოსწავლეებს თავიანთი შესაძლებლობების ადექვატურ შეფასებასა და გამოყენებაში, კარიერის არჩევასა და დაგეგმვაში და მათი დასაქმებისა და თვითდასაქმებისთვის მომზადებაში.

2.4. ამოცანა 7

ინკლუზიური და ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა; ინკლუზიური განათლების პრინციპების ეროვნულ სასწავლო პროგრამებში ინტეგრირება

ინკლუზიური და ინტეგრირებული განათლება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2012 წლიდან ინკლუზიური განათლება საქართველოს ყველა საჯარო სკოლისთვის სავალდებულო გახდა. 2014 წელს განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების (SEN) დაფინანსება გაუმჯობესდა. 2014 წელს საქართველოს პარლამენტმა უნარშეზღუდული პირების უფლებების თაობაზე კონვენციის რატიფიცირება მოახდინა, რის შემდეგაც 2015-2018 წლებისთვის ინკლუზიური განათლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შემუშავდა. 2014 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ აუტიზმით დაავადებულ და სმენადაქვეითებული ბავშვებისთვის 5 საჯარო სკოლაში ინტეგრირებული კლასების პროგრამის პილოტირება განახორციელა. ინკლუზიური განათლების განვითარების დეპარტამენტმა სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვებისთვის, ბოშა ბავშვებისა და სკოლის გარეთ მყოფი ბავშვებისთვის „სოციალური განათლების პროგრამის“ და „განათლების მეორე შანსის“ პროგრამის განხორციელება დაიწყო. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მასწავლებლებისთვის სხვადასხვა სახელმძღვანელო ინსტრუქციები შეიმუშავა და გამოსცა, მათ შორის: „ინკლუზიური განათლება“, „გონებრივი განვითარების პრობლემების მქონე ბავშვების სწავლების მეთოდები“, “სმენადაქვეითებული ბავშვების სწავლების მეთოდები“, „მხედველობადაქვეითებული ბავშვების სწავლების მეთოდები“, და “სპორტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის“. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა მასწავლებელთა ტრეინინგის სპეციალური პროგრამა შეიმუშავა. 2014 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა მაგისტრის პროგრამა დანერგა სპეციალიზირებული მასწავლებლებისთვის. ამჟამად საქართველოში ინკლუზიური განათლების სისტემის ხარისხის გაუმჯობესებაზე მიმდინარეობს მუშაობა.

დღეის მდგომარეობით საქართველოს ყველა სკოლა აღჭურვილია საჭირო შესაძლებლობებით, ცოდნით და უნარებით, რომ განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის (SEN) და უნარშეზღუდული ბავშვებისთვის ხელსაყრელი და მეგობრული სასწავლო გარემო შეიქმნას. სამინისტრომ მასწავლებელთა სწავლების სპეციალური პროგრამები შეიმუშავა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის სპორტულ და ფიზიკურ განვითარებაზე მიმართული აქტივობების დანერგვის ხელშესაწყობად, რაც ამ ბავშვებისთვის სპორტს და სხვა ფიზიკურ აქტივობებს თანაბრად მისაწვდომს გახდის, მიუხედავად მათი განსაკუთრებული საჭიროებებისა თუ უნარშეზღუდულობისა. დაახლოებით 120-მა სპორტისა და ფიზიკური განათლების მასწავლებელმა 55 საპილოტე სკოლიდან გაიარა ტრეინინგი; საქართველოს რეგიონების 10 სკოლა და თბილისის 5 სკოლა აღიჭურვა ადაპტირებული სპორტული აღჭურვილობით, რათა ფიზკულტურის გაკვეთილები ერთნაირად მისაწვდომი იყოს საპილოტე სკოლების ყველა მოსწავლისთვის დამოუკიდებლად მათი უნარშეზღუდულობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა; გაიხსნა ინტეგრირებული კლასები აუტიზმით დაავადებული და სმენადაქვეითებული ბავშვებისთვის; ასევე ლეიკემიის ცენტრში ჰოსპიტალიზირებული ბავშვებისთვის. 2013 წელს 50-ზე მეტი სკოლის ინფრასტრუქტურა იყო ადაპტირებული და რეაბილიტირებული დადგენილი სტანდარტების შესაბამისად სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის.

MDG 3. გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებამოსილების გაზრდის ხელშეწყობა

3.1. ამოცანა 8

დასაქმების სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა

მას შემდეგ რაც 2004 წელს საქართველომ ათასწლეულის განვითარების მიზნების ეროვნულ დონეზე განხორციელების ვალდებულება იკისრა, მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებების დაცვის საკანონმდებლო და პოლიტიკური ჩარჩოს შემუშავების თვალსაზრისით. მიღებული იქნა მთელი რიგი მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომლებიც მოცემულ სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებენ, მათ შორის: გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია (2006), კანონი ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ (2006) და შესაბამისი სამოქმედო გეგმა (უკანასკნელი სამოქმედო გეგმა 2013-2015 წლების პერიოდს მოიცავს); კანონი ტრეფიკინგის წინააღმდეგ (2006) და შესაბამისი სამოქმედო გეგმა (2013-2014), პერიოდული ეროვნული სამოქმედო გეგმები გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით (უკანასკნელი სამოქმედო გეგმა 2014-2016 წლების პერიოდს მოიცავს); კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ (2010) და ეროვნული სამოქმედო გეგმა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე (2012-2015). მთავრობამ ასევე ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ 2013-2015 წლების სამოქმედო გეგმით ევროსაბჭოს ქალების წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახური ძალადობის პრევენციის თაობაზე კონვენციის რატიფიცირების ვალდებულება იკისრა (სტამბულის კონვენცია).

ზემოხსენებული ნორმატიული ჩარჩოს განხორციელების თვალსაზრისით არსებული პროგრესი ყველა სფეროში ერთნაირად თანაბარი არ არის და ჯერ კიდევ ბევრი რამ არის მისაღწევი ისეთ სფეროებში, როგორიცაა ქალთა ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებამოსილების გაზრდა. აღსანიშნავია, რომ ზემოთხსენებული ორი სფერო საქართველოსთვის ათასწლეულის განვითარების მე-3 მიზნის შესაბამისად ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროებია.
ქალების დასაქმებასთან და შრომით ბაზარზე დასაქმებულებსა და დამსაქმებლებს შორის ურთიერთობებს საქართველოს შრომის კოდექსი არეგულირებს (მიღებულია 2006 წელს). შრომის კოდექსი ანტიდისკრიმინაციულ და უფლებების დაცვაზე ორიენტირებულ დებულებებს შეიცავს, რომლებიც როგორც შრომით, ასევე საკონტრაქტო ურთიერთობებზე ვრცელდება (მუხლი 2); კოდექსი ასევე საკონტრაქტო ურთიერთობებში დისკრიმინაციის აკრძალვაზე მიმართულ დებულებებს შეიცავს (ძალაშია 2013 წლის 5 ივლისიდან). შრომის კოდექსი კრძალავს შრომითი კონტრაქტის გაფორმებას ორსულ ან მეძუძურ დედასთან მძიმე, მავნე ან ჯანმრთელობისთვის საშიში სამუშაოების შესასრულებლად (მუხლი 4/5). შრომის კოდექსის შესაბამისად უკანონოდაა მიჩნეული ორსულობის, სადეკრეტო შვებულების ან ოჯახური სტატუსის საფუძველზე პირის სამსახურიდან განთავისუფლება (მუხლები 2 და 37). იგივე აკრძალვები ვრცელდება ღამის საათებში მუშაობაზე და ზეგანაკვეთურ მუშაობაზე გარდა იმ შემთხვევებისა, თუ დასაქმებულის თანხმობა არსებობს ამასთან დაკავშირებით (მუხლები 18 და 17/2).

ჯანდაცვის საკითხებზე საპარლამენტო კომიტეტი შრომის კოდექსში ცვლილებების შეტანის ინიციატივით გამოვიდა და ეს ცვლილებები 2014 წლის 1 იანვრიდან შევიდა ძალაში. ცვლილებები შეეეხება ისეთ საკითხებს,

როგორიცაა ოფიციალური შვებულება ორსულობასთან, მშობიარობასთან და ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით. ზემოთხსენებული ცვლილებების შესაბამისად შვებულება არსებული 477 კალენდარული დღიდან 730 კალენდარულ დღემდე გაიზარდა, ხოლო ანაზღაურებული შვებულება 126 კალენდარული დღიდან 183 კალენდარულ დღემდე გაიზარდა; გარდა ამისა 183 დღის ხანგრძლივობის ანაზღაურებული შვებულების თანხა 1,000 ლარამდე გაიზარდა (625 დოლარი), რაც 126-დღიანი ანაზღაურებული შვებულების დროს 600 ლარს შეადგენდა (375 დოლარი). აღსანიშნავია, რომ მშობიარობასთან დაკავშირებით გათვალისწინებული შეღავათები უკეთ უნდა იყოს დაკავშირებული ფიზიკურად და ფინანსურად მისაწვდომ და ხარისხიან ბავშვზე დღის საათებში ზრუნვის მომსახურეობებთან და წახალისებული უნდა იქნას ორივე მშობლის მიერ მცირეწლოვან ბავშვზე ზრუნვის ტენდენცია. ქალების უფლებამოსილების გაზრდის მნიშვნელოვანი წინაპირობაა წინასაკოლო სააღმზრდელო დაწესებულებების ხელმისაწვდომობა. 2013 წლის 12 ივლისის საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად[28] დღეის მდგომარეობით ყველა სახელმწიფო საბავშვო ბაღის მომსახურეობა უფასოა. ასეთი პოლიტიკა უაღრესად მისასალმებელია, მაგრამ მისი ნაკლოვანება იმაში მდგომარეობს, რომ არ არის საკმარისი რაოდენობის საბავშვო ბაღები, რათა სულ უფრო მზარდი მოთხოვნა იქნას დაკმაყოფილებული. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას რეგიონებში მცხოვრები ქალებისთვის და შესაბამისი ზომების გატარებაა საჭირო ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად. რადგანაც საბავშვო ბაღების ფინანსური მხარდაჭერა მუნიციპალიტეტების ბიუჯეტიდან ხდება, ადგილობრივმა ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს ამ საკითხს.

საქართველოს შრომის კოდექსი ცალსახად არ მოითხოვს თანაბარ ანაზღაურებას მსგავსი ხასიათის

შრომისთვის, თუმცა საქართველოს კონსტიტუცია შეიცავს ანაზღაურებასთან დაკავშირებულ დებულებებს. არსებული შრომითი კანონმდებლობა დახვეწას საჭიროებს, რათა ქალებისა და მამაკაცების მიმართ თანაბარი მოპყრობა იყოს უზრუნველყოფილი დასაქმების, ანაზღაურების, დაწინაურების და მენეჯმენტსა და საბჭოებში წარმომადგენლობის ყველა ასპექტთან დაკავშირებით.

საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ (2010) ასევე შეიცავს ქალების უფლებების დაცვის გარკვეულ გარანტიებს. კერძოდ, კანონის შესაბამისად „დასაქმების ან პროფესიის თავისუფალი არჩევანი, კარიერული წინსვლა და პროესიული განათლება ყველა პირისთვისაა გარანტირებული დისკრიმინაციის გარეშე“ (მუხლი 4/2/"ვ"). "ყველას აქვს უფლება აირჩიოს პროფესია და სპეციალობა თავისი უნარებისა და შესაძლებლობების მიხედვით" (მუხლი 7). გენდერული თანასწორობის შესახებ კანონი ასევე სამუშაო ადგილზე სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეიცავს დებულებებს (მუხლი 6). სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებს ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არეგულირებს[29]. ამ საკითხების კანონმდებლობით რეგულირების გარდა საჭიროა კანონების მოთხოვნების განხორციელების მექანიზმების დანერგვა.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს მთავარ გამოწვევას უმუშევრობა და თვითდასაქმების მაღალი მაჩვენებლები წარმოადგენს როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში. მიუხედავად ამისა უნდა აღინიშნოს, რომ ქალები კიდევ უფრო არაუპირატეს მდგომარეობაში არიან დასაქმების ბაზარზე, რასაც სამუშაო ძალის ბაზარზე მონაწილეობის და დასაქმების მაჩვენებლებს და ხელფასებს შორის სხვობა ადასტურებს. 2012 წლის მდგომარეობით ქალების მხოლოდ 57.4% იყო ეკონომიკურად აქტიური, მაშინ როდესაც იგივე მაჩვენებელი მამაკაცებისთვის 78.2%-ს შეადგენს. მსგავსად ზემოთხსენებულისა, ქალების საერთო პოპულაციაში დასაქმებული ქალების რაოდენობა 49.5%-ს შეადგენს, ხოლო იგივე მაჩვენებელი მამაკაცებისთვის 65.6%-ს შეადგენს[30].

ზოგადად, სულ დასაქმებულ მოსახლეობაში თვითდასაქმებულთა რაოდენობა 61%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ თვითდასაქმებული ქალების რაოდენობა უმნიშვნელოდ აღემატება (62.4%) თვითდასაქმებული მამაკაცების რაოდენობას (60%). იმავდროულად, თვითდასაქმებულების უმეტესობა, როგორც მამაკაცები, ასევე ქალები, სოფლის მეურნეობის სექტორში არიან დასაქმებულები (თვითდასაქმებული ქალების 90.1% და თვითდასაქმებული მამაკაცების 79%)[31].

ეროვნული სტატისტიკური სამსახურის მონაცემების შესაბამისად 2012 წელს ეკონომიკაში და სხვა სექტორებში წარმოდგენილი ქალების საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 517.9 ლარს შეადგენდა, ხოლო მამაკაცების ხელფასი კი 859.6 ლარს (40%-ზე მეტი სხვაობა)[32], მაგრამ არ არის საკმარისად გაანალიზებული ამ მდგომარეობის

[28] საქართველოს ორგანული კანონი თვითმმართველობების შესახებ, მუხლი 16/2/"პ"
[29] იქვე.
[30] ეროვნული სტატისტიკის სამსახური, http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=146&lang=eng; 2013 წლის 9 ოქტომბრის მდგომარეობით.
[31] Ibid.
[32] იქვე. 13.

განმაპირობებელი მიზეზები, გარდა ისეთი აშკარა მიზეზებისა, როგორიცაა ვერტიკალური და ჰორიზონტალური გენდერული სეგრეგაცია შრომის ბაზარზე და შესაბამისად, საჭიროა მდგომარეობის გამოსწორება და აგრეთვე მონაცემების შეგროვების მეთოდოლოგიის დახვეწა. ამჟამად მთავრობა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესაძლებლობებს შეისწავლის, რათა მონაცემების შეგროვების და ანალიზის შესაძლებლობები გაძლიერდეს, რაც მას შესაბამისი პოლიტიკისა და ზომების დასახვის საშუალებას მისცემს.

ცხრილი 6: დასაქმებულების საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გენდერულ ჭრილში [33]

GEL

	2000			2005			2010			2012		
	სულ	საიდანაც:		სულ	საიდანაც:		სულ	საიდანაც:		სულ	საიდანაც:	
		ქალი	კაცი		ქალი	კაცი		ქალი	კაცი		ქალი	კაცი
სულ	**72.3**	**52.1**	**95.9**	**204.2**	**131.1**	**267.9**	**597.6**	**426.6**	**742.8**	**712.5**	**517.9**	**859.6**
სულ სოფლის მეურნეობა, მონადირეობა, მეტყევეობა	19.7	11.1	26.1	128.9	105.5	136.0	279.2	289.1	276.1	424.6	375.7	438.7
მეთევზეობა	22.1	14.4	23.7	93.0	67.4	96.9	341.4	171.0	363.2	388.9	154.0	414.2
სამთო-მოპოვებითი	119.3	99.9	122.2	210.8	148.7	224.5	812.3	559.9	849.4	874.5	574.7	910.5
მრეწველობა	99.3	68.8	116.2	212.1	147.7	243.5	510.6	373.2	577.2	623.0	438.5	706.0
ელექტროენერგიის, გაზის და წყლის წარმოება და დისტრიბუცია	137	116.6	142.9	341.5	299.4	354.2	822.9	716.0	849.8	919.9	892.7	926.0
მშენებლობა	132.4	81.8	139.0	296.4	204.1	303.3	671.0	470.0	683.3	890.8	611.5	908.3
საცალო და საბითუმო ვაჭრობა, მანქანების შეკეთება, პირადი მოხმარების და საოჯახო საქონელი	47	40.4	53.8	173.6	134.2	205.5	583.6	439.3	699.7	650.0	478.7	791.1
სასტუმროები და რესტორნები	40.4	33.5	49.1	108.2	91.3	130.5	377.5	326.9	458.7	397.5	342.2	497.9
ტრანსპორტი და კომუნიკაცია	125.3	108.5	135.9	265.7	197.9	288.9	787.6	556.4	859.4	943.4	759.1	1002.6
ფინანსური საშუამავლო საქმიანობა	513.4	531.0	495.2	1049.2	1025.0	1077.2	1276.7	1008.8	1668.2	1402.3	1153.8	1777.2
უძრავი ქონება, იჯარა და სამეწარმეო საქმიანობა	76.6	55.5	89.2	211.2	148.2	258.4	596.5	507.7	634.3	843.5	655.4	929.3
სახელმწიფო ადმინისტრირება	88.5	78.6	94.5	342.0	259.5	374.4	973.0	855.5	1010.8	1031.2	944.2	1062.6
განათლება	45.5	41.3	57.4	92.5	87.3	109.5	305.1	288.5	367.6	355.1	331.7	434.4
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურეობა	32.1	31.2	35.4	99.6	91.7	130.0	446.8	361.2	725.6	599.5	515.3	796.1
სხვა, საზოგადოებრივი, სოციალური და პირადი სერვისები	66.9	48.7	90.4	113.4	94.3	140.3	460.1	392.3	529.8	602.1	481.2	713.6

საქართველოში ქალებისა და მამაკაცების საპენსიო ასაკი განსხვავებულია. ქალების ოფიციალური საპენსიო ასაკი 60 წელია და ისინი ამ ასაკის მიღწევის შემდეგ იღებენ ხანდაზმულობის პენსიას (150 ლარის ოდენობის ფიქსირებული პენსია, რაც 91 აშშ დოლარის ექვივალენტურია). მამაკაცების ოფიციალური საპენსიო ასაკი 65 წელს შეადგენს. მოცემული საკითხი დამატებით ანალიზს საჭიროებს გენდერული თანასწორობისა და მამაკაცებისა და ქალების პენსიაზე გასვლის შემოსავლებზე (ან სიღარიბეზე) ზეგავლენის თვალსაზრისით.

[33] ეროვნული სტატისტიკის სამსახური

3.2. ამოცანა 9

პოლიტიკურ სფეროში და მმართველობის ყველა დონეზე ქალების მონაწილეობის უზრუნველყოფა

2011 წელს პარლამენტმა გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით ქალების პოლიტიკური პარტიების სიებში ჩართვასთან დაკავშირებით ნებაყოფლობითი ქვოტები დააწესა. ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით ნებაყოფლობით საფუძველზე ქვოტების დაცვის შემთხვევაში, კერძოდ კი პარტიის საარჩევნო სიის ყოველ ათ კანდიდატში 2 სხვა სქესის წარმომადგენლის ჩართვის შემთხვევაში პარტია დამატებით საბიუჯეტო დაფინანსებას მიიღებდა 10%-ის ოდენობით. ქვოტები არ ახდენდა ზეგავლენას ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქებზე.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე პარტიებმა ზოგადი ვალდებულება იკისრეს უფრო მეტი ქალები ჩაერთოთ თავიანთ პარტიულ სიებში და ასევე ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქებში ქალი კანდიდატები დაესახელებინათ. აღსანიშნავია, რომ ძირითადმა კონკურენტმა პარტიებმა, ანუ ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ და ქართულმა ოცნებამ 73 კანდიდატიდან შესაბამისად სამი და რვა ქალი კანდიდატი დაასახელს სხვადასხვა ოლქებში. ამ ორმა პარტიამ არც პარტიულ სიებში არ დაიცვა ნებაყოფლობითი გენდერული ქვოტა, მაშინ როდესაც ორმა სხვა პარტიამ, რომელმაც პარტიული სიებით ქვოტა დაიცვა, ვერ მოიპოვა საკმარისი ხმები, რათა პარლამენტში თავისი კანდიდატები გაეყვანა. 2013 წელს პარლამენტის წევრები და არასაპარლამენტო პარტიები შეთანხმდნენ დაეცვათ ნებაყოფლობითი ქვოტები და წამახალისებელი დაფინანსების მოცულობა 30%-მდე გაიზარდა იმ პარტიებისთვის, რომლებიც სხვა სქესის არანაკლებ 3 კანდიდატს დაასახელებდნენ პარტიული სიის ყოველ ათ კანდიდატზე. ცვლილებები 2013 წლის ივლისში იქნა მიღებული და პირველად ამ სქემის გამოცდა 2014 წლის ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნების დროს მოხდება.

ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის და ხმის მიცემის უფლება საქართველოს კონსტიტუციითაა გარანტირებული და შესაბამისი კანონმდებლობით რეგულირდება. ყველასა აქვს უფლება მიუერთდეს საქართველოში დარეგისტრირებულ ნებისმიერ პარტიას. ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევებიდან ნათელი ხდება, რომ საშუალოდ ქალების წილი პარტიების შემადგენლობაში დაახლოებით 40%-ს შეადგენს,[34] მაგრამ მიუხედავად ამისა მათი წარმომადგენლობა პარტიის მმართველ ორგანოებში უაღრესად შეზღუდულია[35].

ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად 150 პარლამენტის წევრიდან 17 ქალია, რაც პარლამენტის წევრების 11%-ს შეადგენს. ეს 2008 წლის მოწვევის პარლამენტთან შედარებით, როდესაც პარლამენტის წევრი ქალების რაოდენობა მხოლოდ 6.4%-ს შეადგენდა, გარკვეული გაუმჯობესებაა. ერთმანდატიან ოქლებში დასახელებული კანდიდატების საერთო რაოდენობიდან ქალი კანდიდატების რაოდენობა 15%-ს შეადგენდა, ხოლო იგივე მაჩვენებელი 2008 წელს 12%-ს შეადგენდა. შედეგად ამჟამად პარლამენტში 7 ქალი იქნა არჩეული მაჟორიტარ პარლამენტის წევრად ერთმანდატიანი ოქლებიდან, მაშინ როდესაც 2008 წელს 1 ქალი მაჟორიტარი დეპუტატი იყო, ხოლო 2004 წელს კი 2, რაც პოზიტიური ტენდენციის არსებობაზე მიუთითებს.

ადგილობრივ თვითმმართველობებში წარმოდგენილი ქალების რაოდენობა 1998 წლის ადგილობრივი მთავობის არჩევნების შემდეგ 14%-იდან 2002 წელს 12%-მდე შემცირდა, ხოლო 2006 და 2010 წლების არჩევნების შედეგად 11%-ს შეადგენდა. ამჟამად მინისტრთა კაბინეტის 19 წევრიდან 4 წევრი ქალია[36]. უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წელს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ, ელექტროენერგიისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარედ და ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარედ ქალები დაინიშნენ. მოსამართლეების 45%-ს ქალები წარმოადგენენ, თუმცა ისინი იშვიათად იკავებენ მაღალ თანამდებობებს სასამართლო სისტემაში.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მექანიზმი - გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭო - 2004 წელს შეიქმნა. საბჭო ეფექტური მექანიზმი გამოდგა განსაკუთრებით გენდერული საკითხებისადმი სენსიტიური კანონმდებლობის მიღების თვალსაზრისით. გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭომ 2006 წელს წარმატებით შეიმუშავა და ლობირებდა ადამიანების წინააღმდეგ ტრეფიკინგის კანონს, ასევე 2006 წელს მიღებული იქნა ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ კანონი, ხოლო 2010 წელს მიღებული იქნა საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის თაობაზე. გენდერული თანასწორობის თაობაზე კანონის შესაბამისად გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭოს დაეკისრა გენდერული თანასწორობის საკითხებზე პოლიტიკისა და კანონმდებლობის შესრულებაზე საერთო კოორდინაცია და მონიტორინგი. გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის შესაბამისად საბჭო უფლებამოსილია ჩართოს თავის მუშაობაში აღმასრულებელი ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. საბჭომ ასევე 2014-2016 წლების პერიოდისთვის გენდერული თანასწორობის ასახლი ეროვნული სამქომედო გეგმა მიიღო, რომელიც მანამდე არსებული გენდერული თანასწორობის ეროვნული სამქომედო გეგმების განხორციელების პროცესში შეძენილ გამოცდილებას ითვალისწინებს. აღსანიშნავია, რომ 2011 წელს გენდერული თანასწორობის საბჭო 2012-2015 წლების პერიოდისთვის ქალების, მშვიდობის და

[34] ეროვნული თამარ ბაგრატია და მედეა ბედაშვილი, „პარტიებს შიგნით დემოკრატიის განვითარება გენდერული პერსპექტივიდან“, პარტიებს შიგნით დემოკრატია და ადგილობრივი თვითმმართველობა, NIMD საქართველო, 2012, 12.

[35] მიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება და სახსრების განკარგვა მამაკაცების ფუნქციებში შედის, ხოლო ქალები ძირითადად მოხალისეების მუშაობის კოორდინაციაზე და უფრო დაბალი დონის კამპანიების ჩატარებაზე არიან პასუხისმგებელი, იქვე. 13.

[36] იუსტიციის მინისტრი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი ქალია.

უსაფრთხოების საკითხებზე ეროვნული სამოქმედო გეგმის მიღების ინიციატივით გამოვიდა (WPS NAP) და ამჟამად საბჭო ეროვნული საკოორდინაციო ჯგუფის საქმიანობას ხელმძღვანელობს (რომლის შემადგენლობაშიც შესაბამისი სამინისტროების, საზოგადოებრივი მაუწყებლის და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები შედიან). საკოორდინაციო ჯგუფის ფუნქციებში WPS NAP-ს განხორციელების მონიტორინგი შედის.
ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლის თებერვალში საქართველოს პრემიერ მინისტრმა თავის აპარატის შემადგენლობაში შეიყვანა ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მრჩეველი რაც მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე უწყებათაშორისი მაკოორდინირებელი სტრუქტურის შექმნის მიმართულებით და ასეთი კოორდინაცია არსებითად შეუწყობს ხელს გენდერულ და ქალების უფლებამოსილების გაზრდის საკითხებთან დაკავშირებით უფრო ფართო თანამშრომლობას და საკითხების ეფექტურად გადაჭრას.

2013 წლის ოქტომბერში ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრომ თხოვნით მიმართა ყველა მუნიციპალიტეტს განესაზღვრათ გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი საკონტაქტო პირი და მუნიციპალიტეტების დონეზე 49 ასეთი საკონტაქტო პირი იარსებებს. ეს არსებითად შეუწყობს ხელს საქართველოს რეგიონებში გენდერული ასპექტების თაობაზე ინფორმირებულობისა და შესაძლებლობების განვითარებას.

2013 წლის მაისში სახალხო დამცველის აპარატთან გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი შეიქმნა, რომელმაც 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა და სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობაში გენდერული საკითხების უკეთ გათვალისწინების სტრატეგია შეიმუშავა.

MDG 4. ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება

4.1. ამოცანა 10

ხუთ წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის ორი მესამედით შემცირება 2000-დან 2015 წლამდე პერიოდში

ოფიციალური დემოგრაფიული სტატისტიკის შესაბამისად (GeoStat) საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა 5 წლამდე ბავშვების სიკვდილიანობა. მოცემული მაჩვენებელი 2000 წელს 24.9-ს წარმოადგენდა, ხოლო 2013 წელს იგი 13.0-მდე შემცირდა. 5 წლამდე ბავშვების სიკვდილიანობის შემცირების ტენდენციას NCDCPH-ის ჯანდაცვის სტატისტიკის ადმინისტრაციული განყოფილების მონაცემებიც ადასტურებენ. კერძოდ, ამ მონაცემებით 2000 წელს 5 წლამდე ბავშვების სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე 2000 წელს 27,2-ს შეადგენდა, ხოლო 2012 წელს იგი 12.4-მდე შემცირდა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგად სტატისტიკურ მონაცემებს და საქართველოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის (GERHS) მონაცემებს შორის სხვაობა საკმაოდ დიდია, მონაცემთა ყველა წტყაროებიდან ნათლად იკვეთება 5 წლამდე ბავშვების სიკვდილიანობის შემცირების ტენდენცია (ცხრილი 7).

ცხრილი 7: 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა 1000 ცოცხალშობილზე, დემოგრაფიული, ჯანდაცვის და შიდამეურნეობების კვლევის სტატისტიკური მონაცემების შედარება

	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
ჯანდაცვის სტატისტიკა (NCDCPH)	27.2	26.7	22.1	20.3	20.1	19.4	19.7	15.6	16.0	15.4	13.4	12.0	12.4	13.0
დემოგრაფიული სტატისტიკა (GeoStat)	24.9	25.5	26.0	27.6	26.4	21.1	16.9	14.4	18.0	16.0	13.0	13.8	14.4	13.0
GERHS	45.8	-	-	-	-	25.1	-	-	-	-	16.4	-	-	-

1990-იან წლებში რუტინული ვაქცინაციის მომსახურეობის მოშლის შემდეგ, საქართველომ წარმატებით მოახერხა ვაქცინაციის მომსახურებების აღდგენა და მოცვის გაზრდა იმუნიზაციის ეროვნული პროგრამის დანერგვის გზით. 2000 წლიდან მოყოლებული ქვეყანაში წითელის შემცველი ვაქცინით (MCV) მოცვის მაჩვენებელი სტაბილურად 90%-ს შეადგენს, ხოლო 2012 წლის ბოლოსთვის ვაქცინაციით მოცვის მაჩვენებელმა 93%-ს, ხოლო 2013 წელს კი 96.5%-ს მიაღწია. მოცემული მაჩვენებელი ევროგაერთიანების მაჩვენებლებს უახლოვდება, თუმცა დამატებითი ინვესტიციებია საჭირო რათა MCV 1-ით მოცვა 95%-ს შეადგენდეს და ვაქცინის მეორე დოზითაც მოცვა შესაბამისი იყოს. ვაქცინაციის მეორე დოზით მოცვის მაღალი მაჩვენებლების მიიღწევა კრიტიკულად მნიშვნელოვანია წითელისა და წითურის აღმოფხვრასთან დაკავშირებული მიზნის მისაღწევად, რომელიც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ განსაზღვრა 2015 წლისთვის ევროპის რეგიონის ქვეყნებისთვის.

დიაგრამა 6: წითელას წინააღმდეგ აცრილი 12 თვის ბავშვების რაოდენობა პროცენტებში [37]



გარდა იმუნიზაციის ეროვნული პროგრამისა მთელი რიგი მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა, რომლებმაც თავისი წვლილი შეიტანეს ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებაში. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჯანდაცვის დაფინანსების სისტემების გადასინჯვა, რომ-ლის მიზანს მოსახლეობის ფინანსური დაცვის გაზრდა და მომსახურებების ღირებულების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება წარმოადგენდა. ზემოხსენებული რეფორმის ფარგლებში 2012 წლის სექტემბერში ასაკთან მიბმული ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა ამუშავდა, რომლის შესაბამისადაც 0-5 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის (მათ შორის ახალშობილი ჩვილებისთვის) მიწოდებული მომსახურებების უმეტესი ნაწილი 100%-ით სახელმწიფოს მიერ ფინანსდება. ასაკთან მიბმული ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამით დაახლოებით 791,000 ადამიანი იყო მოცული.

2013 წელს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწი-ფო პროგრამა ამოქმედდა (UHP), რათა ასაკთან მიბმული ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამის და სოციალურად დაუცველი პირებისთვის გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამის ფარგლებს გარეთ დარჩენილი მოსახლეობა მოეცვა. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრირებაზე სოციალური მომსახურების სააგენტოა პასუხისმგებელი, რომელიც სერვისების შემსყიდველს წარმოადგენს. რაც შეეხება

[37] წყარო: NCDC საქართველო და WHO HFADB

ზემოთხსენებულ ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამებს, მათ ადმინისტრირებაზე კერძო სადაზღვევო კომპანიები არიან პასუხისმგებელი. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით უფასო სამედიცინო მომსახურეობის შეთავაზებაა გათვალისწინებული ყველა იმ ადამიანისთვის, რომლებიც არ არიან დაზღვეულები, რაც 2,2 მილიონს შეადგენს. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა „მინიმალური სადაზღვევო პაკეტით“ დაიწყო და 2013 წლის 1 ივლისს გადაუდებელი ჰოსპიტალიზაციის შემთხვევების უფრო ფართო სპექტრი, პირველადი ჯანდაცვის მომსახურებები (ოჯახის ექიმის მომსახურეობა + ლაბორატორიული დიაგნოსტიკა), გეგ-მიური ჰოსპიტალური მკურნალობა (წლიური ლიმიტი 15,000ლარი, 30%-იანი თანადაფინანსების პირობით), ონკო-ლოგიური სერვისები (წლიური ლიმიტი 12,000 ლარი, 20% თანადაფინანსების პირობით) და მეან-გინეკოლოგიური მომსახურეობა მოიცვა. 2013 წლის აპრილიდან მოსახლეობის დაუცველი ნაწილისთვის სამედიცინო დაზღვევის სახელ-მწიფო პროგრამა, ხოლო 2014 წლის სექტემბრიდან ასაკთან მიბმული სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამასთან იქნა ინტეგრირებული (UHC). დღეის მდგომარეობით ეს პროგრამა დაახლოებით 4 მილიონ ადამიანს მოიცავს.

არსებობს სხვა სახელმწიფო პროგრამებიც, რომლებიც დედათა და ბავშვთა მომსახურებების მიწოდებას უზრუნველყოფენ. ასეთ პროგრამებს მიეკუთვნება: (i) დედათა და ბავშვთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა, რომელიც ანტენატალურ სერვისებს, ანტენატალურ გენეტიკურ სკრინინგს, ახალშობილის სკრინინგს და ორსულობის განმავლობაში გართულებების მკურნალობას, მშობიარობას დამშობიარობისშემდგომსერვისებსმოიცავს.ამუკანასკნელმა მომსახურებამ (მშობიარობის შემდგომი გართულებების მქონე ჩვილების სამშობიაროდან სპეციალიზირებულ და მაღალტექნოლოგიური მომსახურებების მქონე კლინიკებში რეფერირება) მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ახალშობილთა სიკვდილიანობის შემცირებაში; (ii) აივ/შიდსის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც აივ პოზიტიური დედებს ლაბორატორიული ტესტირების გზით დადასტურების სერვისები და დედებს და შვილებს ანტირეტროვირუსული მკურნალობა მიეწოდებათ; (iii) იმუნიზაციის პროგრამა; (iv) სოფლის ექიმის პროგრამა; (v) ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის პროგრამა, რომელიც ადრეულ ასაკში განვითარების სკრინინგს (0-დან 6 წლამდე) და სუსტი და საშუალო გონებრივი განვითარების პრობლემების პრევენციასა და ადრეულ გამოვლენასთან დაკავშირებულ სერვისებს სთავაზობს (1-დან 6 წლამდე ბავშვები).

მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული პროგრესი აღინიშნა, უნდა ითქვას, რომ საქართველო ბავშვთა სიკვდილიანობის მიხედვით ევროპის ქვეყნებს შორის მეორეადგილზეა. ბავშვთა სიკვდილიანობაში ყველაზე დიდი წილი ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობას უკავია (87.5%) და ამ მხრივ მდგომარეობა საქართველოში 2000 წლის შემდეგ არ შეცვლილა, როდესაც ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის (IMR) წილი U5MR-ში 90%-ს შეადგენდა. საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ყველაზე დიდ გამოწვევას კლინიკური მკურნალობის სტანდარტების უქონლობა და ჯანდაცვის მომსახურებების პროვაიდერების შეზღუდული შესაძლებლობები, აგრეთვე არასათანადო ხარისხის ნეონატალური და პედიატრიული მომსახურება წარმოადგენს. 2010 წელს ჩატარებულმა რეპროდუქციულმა ჯანმრთელობის კვლევამ ქალაქებსა და რაიონებს შორის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლებში დიდი სხვაობის არსებობა გამოავლინა. 2013 წელს UNICEF-ის ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მიზეზების კვლევამ შემდეგი გამოავლინა: (ა) თბილისის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ჩვილი ბავშვების გარდაცვალების ალბათობა 1.4-ჯერ აღემატება თბილისში მცხოვრები ჩვილი ბავშვების გარდაცვალების ალბათობას; (ბ) თბილისის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ახალშობილების გარდაცვალების ალბათობა, რომელთა წონა 1,500 გრამია ან აღემატება მას, 1.9-ჯერ უფრო მაღალია სამშობიაროდან გაწერამდე პერიოდში და 1,5-ჯერ უფრო მაღალია სამშობიაროდან გაწერის შემდგომ პერიოდში.

საქართველოს ჯანდაცვის ეროვნული სტრატეგია 2011-2015 წლების პერიოდისთვის, რომლის სახელმწოდებაა „მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებების მისა-წვდომობა“, ჯანდაცვის სფეროს ეროვნულ პოლიტიკას განსაზღვრავს. სტრატეგია მიზნად ისახავს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებას და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებას. ერთ ერთი სერიოზული გამოწვევა, რომლის მოგვარების გზები სტრატეგიითაა გათვალისწინებული, ბავშვთა და პერინატალური სიკ-ვდილიანობაა. სტრატეგია ნათელ მიზნებს სახავს: 1) იმუნიზაციის მომსახურეობების უზრუნველყოფა ბავშვთა ისეთი დაავადებებისგან სიკვდილიანობისა და ავადობის შემცირების მიზნით, რომელთა პრევენცია ვაქცინაციითაა შესაძლებელი; 2) პერინატალური მომსახურებების ხარისხსა და ეფექტურობასთან დაკავშირებული პრობლემების მო-გვარება პერინატალური სიკვდილიანობის შემცირების მიზნით.

საქართველოს მთავრობა პერინატალური და ახალშობილთა ჯანმრთელობის დაცვის სერვისების გაუმჯობესებაზე მიმართულ ინტერვენციებს ახორციელებს. პერინატალური მომსახურებების განვითარების გენერალური გეგმის შესაბამისად სხვადასხვა პერინატალურ მომსახურებებს შორის უფრო ეფექტური კავშირების დამყარებაა გათვალისწინებული, რაც სამეანო და ნეონატალური მომსახურებების უკეთ მართვას და სხვადასხვა დაავადებების, გართულებებისა და გადაუდებელი შემთხვევების უკეთ მართვას და მკურნალობას უზრუნველყოფს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა პროვაიდერების გამოცდილებისა და შესაძლებლობების განვითარებას, რაც უცხოური ექსპერტების დახმარებითაა გათვალისწინებული. ამჟამად ახალი პერინატალური გაიდლაინების შემუშავება და დანერგვა მიმდინარეობს. დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ეროვნულ ცენტრში სპეციალური დანაყოფი შეიქმნა, რომელიც დედათა, ბავშვთა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე ზედამხედველობაზე იქნება პასუხის-მგებელი.

MDG 5. დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება

5.1. ამოცანა 11

დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლის სამი მეოთხედით შემცირება 2000-დან 2015 წლამდე პერიოდში

საქართველოში დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100,000 ცოცხალშობილზე (MMR) 2000 წელს არსებულ 49.2-დან 2012 წელს 22.9-მდე შემცირდა (ცხრილი 8). დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლის 54%-იანი შემცირება მნიშვნელოვანი მიღწევაა, თუმცა ათასწლეულის დეკლარაციით დასახული MMR-ის ¾-ით შემცირება ჯერ კიდევ სერიოზულ გამოწვევად რჩება.

ცხრილი 8: დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100,000 ცოცხალშობილზე, 2000-2012

	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
ოფიციალური სტატისტიკა (GeoStat)	49.2	58.7	42.2	49.9	43.1	23.4	23.0	20.2	14.3	52.1	19.4	27.6	22.9
GERAMOS	-	-	-	-	-	-	44.0	-	-	-	-	-	-
MMS (დედათა სიკვდილიანობის კვლევა) 2011	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	20.6	-	-

MDG-ს პლატფორმის მიღების პერიოდისთვის მშობიარობების წილი, რომლებიც პროფესიონალი ჯანდაცვის პერსონალის მიერ იყო მიღებული საკმაოდ მაღალი იყო და 2002 წელს 97.4%-ს შეადგენდა, ხოლო 2012 წელს ეს მაჩვენებელი 99.8%-მდე გაიზარდა (დიაგრამა 7, ცხრილი 9).

დიაგრამა 7: მშობიარობების წილი, რომლებიც პროფესიონალი ჯანდაცვის პერსონალის მიერ იყო მიღებული [38]



[38] წყარო: საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი

ცხრილი 9: მშობიარობების წილი, რომლებიც პროფესიონალი ჯანდაცვის პერსონალის მიერ იყო მიღებული

	1995-1999	2000-2004	2005-2009	2012
ჯანდაცვის სტატისტიკა	95,8	96,9	99,2	99.8
GERHS (რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში)	92.2	92.5	98.8	-
MICS	-	-	93.8	-

ორსული ქალების მოცვა რეკომენდირებული 4 ანტენატალური სამედიცინო შემოწმების ვიზიტით ასევე გაიზარდა და 2013 წელს 84.2%-ს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ იგივე მაჩვენებელი 2001 წელს 60%-ზე ნაკლებს შეადგენდა, რაც საბაზისო მაჩვენებლად იქნა მიჩნეული (დიაგრამა 3). MICS 2005-ის შესაბამისად ორსული ქალები რაოდენობა, რომლებმაც სამედიცინო დაწესებულებებს მიმართეს ერთხელ მაინც, 97.4%-ს შეადგენდა. GERHS-ის კვლევამაც დადადასტურა, რომ 4 ანტენატალური სამედიცინო შემოწმების მიზნით სამედიცინო დაწესებულებებში ვიზიტით მისვლის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია (98.8% 2005-2009 წლების პერიოდში). 1999 წლიდან RH მომსახურებების მისაწვდომობის გაუმჯობესება განსაკუთრებით სასიკეთოდ აისახა რეგიონებში მცხოვრებ ქალებზე და დაბალი განათლების მქონე ქალებზე. ორსული ქალების პროცენტი ამ ორ ჯგუფს შორის, რომლებსაც არ მიუმართავთ ანტენატალური მომსახურეობის მისაღებად 14% და 30% პროცენტიდან შესაბამისად 3% და 6%-მდე შემცირდა.

დიაგრამა 8: ქალების პროცენტი, რომლებსაც არანაკლებ 4 ანტენატალური კონსულტაცია ჩაუტარდათ [39]



[39] წყარო: საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი

რეპროდუქციული ჯანდაცვის მომსახურებების თაობაზე მონაცემები (გარდა დედათა და ბავშვთა სტატისტიკისა) ძირითადად შიდამეურნეობების კვლევიდან მიიღება. შიდამეურნეობების სამი კვლევის შესაბამისად (GERHS), რომლებიც 2000-2010 წლების პერიოდში ჩატარდა, ხელოვნური აბორტების საერთო მაჩვენებელი 3.7-დან 1.6-მდე შემცირდა. ხელოვნური აბორტების საერთო მაჩვენებლის შემცირება ძირითადად კონტრაცეფციის ახალი მეთოდების დანერგვით იყო განპირობებული. 1999 წელს დაქორწინებულ ქალებში კონტრაცეპტული საშუალებების გამოყენების მაჩვენებელი 20%-ს შეადგენდა, ხოლო 2010 წელს ამ მაჩვენებელმა 35%-ს მიაღწია (აღსანიშნავია, რომ კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდების გამოყენების მაჩვენებელმა პირველად გადააჭარბა ტრადიციული მეთოდების გამოყენების მაჩვენებელს). GERHS-ის მონაცემებიდან ასევე ნათელი ხდება, რომ ოჯახის დაგეგმვის სფეროში მომსახურებებზე არსებული დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა 27%-იდან 18%-მდე შემცირდა (ცხრილი 10). ეს შეიძლება USAID და UNFPA-ს მიერ მხარდაჭერილი პარტნიორობის ინიციატივებით იყოს განპირობებული, რომლებიც ოჯახის დაგეგმარების თანამედროვე მეთოდებთან დაკავშირებით უფასო მომსახურებებს და სოციალური მარკეტინგის შედეგად პოპულარიზირებულ ოჯახის დაგეგმარების პროდუქტებს სთავაზობენ, ასევე ამ მონაცემის გაზრდაში კერძო სექტორის პარტნიორობების გაფართოებას და RH მომსახურეობების პროვაიდერებისთვის მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ტრეინინგების ჩატარებას მიუძღვის წვლილი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში კონტრაცეპტული საშუალებების გამოყენების მაჩვენებელი გაიზარდა, საქართველოში კონტრაცეპტივების პრევალენტობა ყველაზე დაბალია აღმოსავლეთ ევროპისა და ევრაზიის ქვეყნებს შორის. ეს კი ნიშნავს, რომ ძალისხმევა MDG-ს 5B მიზნის მიღწევაზე უნდა იყოს მიმართული, რათა 2015 წლისთვის რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ოჯახის დაგეგმვის სერვისებისადმი უნივერსალური მისაწვდომობა იყოს უზრუნველყოფილი.

ცხრილი 10: ოჯახის დაგეგმვის სფეროში მომსახურეობებზე არსებული დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა

	2000	2005	2010
15-დან 44 წლამდე ქალები	27	22	18

რეპროდუქციული ჯანდაცვის ხარისხიან მომსახურებაზე მისაწვდომობის შემდგომი გაზრდის და რეპროდუქციული ასაკის ქალების სიკვდილიანობისა და ავადობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზის აღმოფხვრის მიზნით საქართველოს მთავრობამ UNFPA-სთან პარტნიორობაში ძუძუს და საშვილოსნოს კიბოს სკრინინგის პროგრამები წამოიწყო. ეს მომსახურება საქართველოს რეგიონებში მცხოვრები ასაკის მიხედვით სამიზნე ჯგუფს მიკუთვნებულ ყველა ქალს უფასოდ მიეწოდება. ამჟამად ერთობლივი ძალისხმევაა მიმართული საშვილოსნოს კიბოს სკრინინგ პროგრამის დაგეგმვასა და მისი პილოტირების განხორციელებაზე სკრინინგ პროგრამებში მონაწილეობის გაზრდისა და მათი ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. გარდა ამისა USAID SUSTAIN და UNFPA-ს მხარდაჭერით 1400-ზე მეტი პირველადი ჯანდაცვის სპეციალისტს ჩაუტარდა ტრეინინგი ძუძუს და საშვილოსნოს კიბოს პრევენციასა და ადრეულ გამოვლენაზე.

მიუხედავად ხელშესახები პროგრესისა, NCDC-ს და ეროვნული სტატისტიკური სამსახურის მონაცემების შესაბამისად 2013 წელს 16 დედა გარდაიცვალა მშობიარობასთან დაკავშირებული გართულებებისგან. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ გაეროს სააგენტოებთან (UNICEF, UNFPA), USAID და სხვა საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის გზით უფრო ინტენსიურად დაიწყო მუშაობა რეპროდუქციული ჯანმრთელობის თაობაზე სტატისტიკის მოძიებაზე და ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებული სიკვდილიანობის თაობაზე ინფორმაციის დროულად მიწოდებისა და აღრიცხვის უზრუნველყოფაზე. USAID SUSTAIN-ის JSI პროექტის ტექნიკური დახმარებით NCDC 2014 წელს საქართველოში რეპროდუქციულ ასაკში სიკვდილიანობის კვლევას ატარებს (RAMOS), რომლის მიზანია ამ ასაკის ქალთა სიკვდილიანობის მიზეზების და პრობლემის მოცულობის დადგენა.

MDG 6. აივ/შიდსთან, მალარიასთან და სხვა დაავადებებთან ბრძოლა

6.1. ამოცანა 12

აივ/შიდსის გავრცელების შეჩერება და ავადობის შემცირების ტენდენციის მიღწევა 2015 წლისთვის

საქართველო აივ-ის თვალსაზრისით დაბალი პრევალენტობის მქონე ქვეყანების რიცხვს მიეკუთვნება (სავარაუდო პრევალენტობა მოზრდილებში: 0.3%). აივ-ს მქონე ადამიანების რაოდენობა (HIV PLWH) ქვეყანაში სავარაუდოდ 6600 ადამიანს შეადგენს, თუმცა 2013 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით ოფიციალურად აივ დადებითი 4 084 ადამიანია დარეგისტრირებული. აივ პოზიტიური პირების მესამედი თბილისში ცხოვრობენ, ხოლო დანარჩენი მესამედი შავი ზღვის სანაპირო რეგიონებში - აჭარასა და სამეგრელოში. შიდსი 2 477 შემთხვევაში განვითარდა. დღეის მდგომარეობით 885 ადამიანია საქართველოში შიდსისგან გარდაცვლილი.

საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო CEE/CIS რეგიონში, სადაც ანტირეტროვირუსული მკურნალობის უნივერსალური ხელმისაწვდომობა იყო მიღწეული 2004 წელს. მას შემდეგ საქართველო ერთადერთი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანა რჩება, სადაც ანტირეტროვირუსული მკურნალობის უნივერსალური ხელმისაწვდომობაა უზრუნველყოფილი. ამან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აივ პოზიტიური პირების მკურნალობის წარმატებულობასა და მათი ცხოვრების ხარისხის შენარჩუნებაში. საერთაშორისო ექსპერტების შეფასების შესაბამისად აივ/შიდსის მკურნალობის ქართული მოდელი სამაგალითოა და იგი საშუალო და დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებს შორის მსოფლიოში ყველაზე წარმატებული მოდელია. ბოლო საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რომლებიც 2012 წლის 1 ოქტომბერს ჩატარდა, საქართველოს მთავრობამ ჯანდაცვის სფეროსთვის 2013 წლისთვის გამოყოფილი დაფინანსება 640 მილიონ ლარამდე გაზარდა (388 მილიონი დოლარი), საიდანაც 3461000 ლარი (209,7576 დოლარი), ანუ მთლიანი ბიუჯეტის 0.5% აივ/შიდსის პრევენციის და მკურნალობის ეროვნულ პროგრამას გამოეყო. გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ აივ/შიდსის პრევენციასთან ასევე დაკავშირებულია უსაფრთხო სისხლის პროგრამა, დედისგან ბავშვზე გადაცემის პრევენციის პროგრამა, PWID-ების მეტადონით ჩანაცვლების სახელმწიფო პროგრამა, PWID-ების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა და ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამა.

მიუხედავად ზემოთხსენებულისა ქვეყანაში კონცენტრირებული ეპიდემიაა მაღალი რისკის შემცველი ქცევის ჯგუფებში და MSM-ში აივ-ის პრევალენტობა იზრდება (3%-დან 13%-მდე), ხოლო დასავლეთ საქართველოს ზოგ ქალაქებში PWID-ებში პრევალენტობა 5%-ს აღწევს. აივ-ის ახალი შემთხვევების რაოდენობა 15-24 წლის ახალგაზრდებში ასევე იზრდება (დიაგრამა 4).



დიაგრამა 9: აივ-ის ინციდენტობა 100000 მოსახლეზე



აივ-ით დაავადებულ პირთა სტიგმატიზაცია კვლავაც ძირითად ბარიერად რჩება აივ-ის პრევენციისა და სერვისებით სარგებლობისთვის, რაც ძირითადად საზოგადოების დაბალი ინფორმირებულობითაა გამოწვეული. ზემოთხსენებულ პრობლემას ასევე სოციალური დამოკიდებულებები, ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლებთან (IDU) და პატიმრებთან პრევენციული ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის კანონმდებლობა, რეგულაციები და პოლიტიკაც განაპირობებს. ნარკოტიკების მოხმარების მარეგულირებელი კანონმდებლობა არ უწყობს ხელს ეფექტურ მკურნალობასა და პრევენციას, რაც თავის მხრივ სამოქალაქო და პენიტენციალურ სექტორში ეფექტური ინტერვენციების შესაძლებლობებს ზღუდავს. შესაბამისად, საქართველოში აივ-ის პოლიტიკის და პრობლემაზე რეაგირების ზომების ეფექტურად განხორციელებისთვის აუცილებელია კანონმდებლობის ხარვეზებზე და პრობლემებზე ორიენტირებული ადვოკატირება.

6.2. ამოცანა 13

მალარიის და სხვა დაავადებების გავრცელების შეჩერება და ავადობის შემცირების ტენდენციის მიღწევა 2015 წლისთვის

ქვეყანამ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია მალარიის აღმოფხვრის თვალსაზრისით. საქართველოში მალარიის შემთხვევების შემცირება 2002 წლიდან დაიწყო, როდესაც ეს მაჩვენებელი 5.5-ს წარმოადგენდა, ხოლო 2013 წლისთვის იგი 0.02-მდე შემცირდა (დიაგრამა 5) და 2013 წელს აუტოქტონური მალარიის შემთხვევა არ აღრიცხულა. წარმოადგენს რა ტაშკენტის დეკლარაციის ხელმომწერ მხარეს, რომელიც მალარიის კონტროლიდან მის სრულ აღმოფხვრაზე გადასვლას ისახავს მიზნად, საქართველო ამჟამად მალარიის თავიდან ინტროდუცირების პრევენციის ეტაპზე იმყოფება. 2011 წელს ქვეყანამ თხოვნით მიმართა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას ეღიარებინა ქვეყანა როგორც მალარიისგან თავისუფალი. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ოდითგანვე მალარიის ენდემურ ზონად ითვლებოდა, ეს ქვეყნის ერთ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევაა.

დიაგრამა 10: მალარიის ინციდენტობა 100000 მოსახლეზე [40]



[40] წყარო: საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი

საქართველომ ასევე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ტუბერკულოზის ეპიდემიასთან ბრძოლის თვალსაზრისით (TB). ქვეყანამ ტუბერკულოზის დიაგნოსტირებისა და მკურნალობის უნივერსალურ ხელსაწვდომობას მიაღწია 2003 წელს, მათ შორის მულტირეზისტენტული (MDR-TB) ტუბერკულოზის კონტროლზე მიმართული ინტერვენციების უნივერალურ მისაწვდომობას 2008 წლიდან. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის შეფასების შესაბამისად საქართველოში ტუბერკულოზის ინციდენტობის, სიკვდილიანობის და პრევალენტობის მაჩვენებლები 2000 წლიდან განუხრელად მცირდება. ტუბერკულოზის ახალი შემთხვევებით ავადობა ყოველ 100,000 მოსახლეზე 2000 წელს არსებული 96.5-დან 2012 წელს 84.1-მდე შემცირდა, ხოლო პრევალენტობა იმავე პერიოდში 133.4-იდან 110.7-მდე შემცირდა (ცხრილი 11).

ცხრილი 11: ტუბერკულოზის ინციდენტობა, პრევალენტობა და სიკვდილიანობა 100000 მოსახლეზე [41]

	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
ინციდენტობა	96.5	86.4	96.5	92.8	94.8	98.1	96.9	95	94.7	101.4	98.6	101.4	84.1
პრევალენტობა	133.4	128.8	145.2	143.4	149.7	153.2	143.1	147.0	133.0	135.9	130.4	123.4	110.7
სიკვდილიანობა	-	-	3.1	3.5	4.3	5.3	5.4	5.9	5.2	4.6	4.1	3.5	3.9

მიუხედავად ქვეყანაში მიღწეული პროგრესისა, კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის შემთხვევების მაღალი ტვირთი (MDR-TB). MDR სერიოზულად ართულებს საქართველოში არსებულ ტუბერკულოზის ეპიდემიას, რადგანაც ამ ტიპის ტუბერკულოზს დაახლოებით ორწლიანი მკურნალობა ესაჭიროება უფრო ტოქსიური, ძვირი და ნაკლებად ეფექტური მედიკამენტებით. საქართველო იმ 27 ქვეყნის რიცხვს მიეკუთვნება, სადაც MDR ფორმის ტუბერკულოზის ტვირთი ყველაზე მაღალია.

საქართველოში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მხარდაჭერით 2004-2006 წლებში მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის პირველი კვლევა ჩატარდა (MDR კვლევა/DST). კვლევის შედეგად მულტირეზისტენტული ტუბერკულოზი ნაცხ-პოზიტიური ახალი შემთხვევების 6.8%-ში, ხოლო უკვე ნამკურნაველ პაციენტებში 27.4%-ში გამოვლინდა. 2011 წელს მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის ფორმა ახალი შემთხვევების 10.9%-ში იქნა გამოვლენილი, ხოლო უკვე ნამკურნალევი პაციენტების 31.7%-ში. ტუბერკულოზი განსაკუთრებით მწვავე პრობლემად რჩება პენიტენციალურ სისტემაში.

[41] წყარო: საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი

MDG 7. ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფა

7.1. ამოცანა 14

მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრირება ქვეყნის პოლიტიკასა და პროგრამებში და ბუნებრივი რესურსების შემცირების (დეგრადაციის) ტენდენციის შეჩერება

ტყეები საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 40%-ს იკავებს. ეს მაჩვენებელი ბოლო 10% განმავლობაში შედარებით სტაბილურად ნარჩუნდება. საქართველოს ფლორა 4,130 მცენარეთა სახეობით, ხოლო ფაუნა ცხოველთა16,054 სახეობითაა წარმოდგენილი, საიდანაც 758 ქორდიანთა ტიპს მიეკუთვნება. ძუძუმწოვრების 19 სახეობა და ფრინველთა 3 სახეობა კავკასიის ენდემურ ჯიშებს წარმოადგენს. ძუძუმწოვრების 29, ფრინველთა 35, რეპტილიების 11, ამფიბიების 2. თევზების 13 და ხეების 56 სახეობა (მხოლოდ მერქნის სახეების) საქართველოს წითელ წიგნშია შეტანილი. საქართველოში აღრიცხულ ხერხემლიანთა 44 სახეობა გლობალურად გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ ს ახეობადაა აღიარებული და IUCN-ის წითელ ნუსხაშია შეტანილი როგორც მოწყვლადი, ან მაღალ კატეგორიას მიკუთვნებული ტაქსონი. საქართველოს უკანასკნელი წითელი ნუსხა 2006 წელს დამტკიცდა და მას შემდეგ ნუსხაში ცვლილებები არ შეტანილა.

გაეროს კლიმატის ცვლილებებზე ჩარჩო კონვენციის ფარგლებში საქართველოს მიერ მომზადებული მესამე ეროვნული ანგარიშის შესაბამისად 2011 წელს საქართველოში სათბურის გაზების (GHG) ემისიები მხოლოდ 14.27 მილიონ t CO2 ექვივალენტს (1987 წელს არსებული მაჩვენებლის დაახლოებით 29%) შეადგენდა. 2011 წელს ერთ სულ მოსახლეზე სათბური გაზების ემისიები 3.19 t CO2 ექვივალენტს შეადგენდა, ანუ 2.9-ჯერ ნაკლებს, ვიდრე 1987 წელს (9.38 t CO2eq/ ერთ სულ მოსახლეზე). 2013 წელს დაბალი ემისიების სტრატეგიის (LEDS) შემუშავება დაიწყო, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს მდგრადი და კლიმატური ცვლილებებისადმი მედეგი ეკონომიკური ზრდის მიღწევას და პარალელურად სათბური გაზების ემისიების შემცირებას. 2010 წელს საქართველოს 8 ყველაზე დიდი ქალაქი (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი, ზუგდიდი, გორი და თელავი), რომლებზეც ურბანული მოსახლეობის 80% მოდის, რაც დააახლოებით მთლიანი მოსახლეობის 45%-ს შეადგენს, ევროგაერთიანების კლიმატური ცვლილებების ინიციატივას მიუერთდა, რომელიც მერთა შეთანხმების სახელითაა ცნობილი (The Covenant of Mayors - CoM), რასთან დაკავშირებითაც ამ ქალაქებმა 2020 წლისთვის სათბური გაზების ემისიების საბაზისო მდგომარეობასთან მიმართებაში 20%-ით შეცირების ვალდებულება იკისრეს. ეს ორი პროცესი, ანუ LEDS ეროვნულ დონეზე და CoM ადგილობრივ დონეზე, ერთმანეთთან სინერგიაში განხორციელდება და პრობლემის გადაჭრის თანმიმდევრულ გზებს შემოგვთავაზებს.

შემუშავდა ოზონის გამომფიტველი სუბსტანციების მარეგულირებელი კანონმდებლობა. საქართველო სრულ შესაბამისობაშია მონრეალის პროტოკოლით გათვა-ლისწინებული კონტროლის ზომებთან. იდენტიფიცირებული იქნა ოზონის გამომფიტველი ძირითადი სუბსტანციები და მათი ეტაპობრივი შემცირება დაისახა დადგენილი ვადისთვის (2010). ამჟამად ქვეყანა HCFC-ის ეტაპობრივი მართვის სამოქმედო გეგმას ანხორციელებს (HPMP), რომელიც დაკისრებული ვალდებულებების ეფექტურად შესრულებას შეუწყობს ხელს. რადგანაც საქართველო არ წარმოადგენს ოზონის გამომფიტველი სუბტანციების მწარმოებელს, მისი მოხმარება იმპორტზეა დამოკიდებული. შესაბამისად, იმპორტთან დაკავშირებით მონრეალის პროტოკოლის მოთხოვნების დაცვით ქვოტები განისაზღვრა. ქვეყანაში უკვე არსებობს ამ ნივთიერებების იმპორტზე მონიტორინგის ეფექტური სისტემა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში გატარებული წარმატებული ინტერვენციების შედეგად ოზონის გამომფიტველი სუბსტანციების მოხმარება საქართველოში განუხრელად მცირდება.

ცხრილი 12: ოზონის გამომფიტველი სუბსტანციების (ODS) მოხმარება

ინდიკატორი	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
ODS-ის მოხმარება (ODP კგ/მოსახლეზე)	0,0156	0,0033	0,0014	0,0015	0,0013	0,0015	0,0011	0,0006	0,0003

დიაგრამა 11: ODS-ის მოხმარება



2014 წელს დაცული ტერიტორიების მთლიანი ფართობი (PA) საქართველოს ტერიტორიის 8.62%-ს შეადგენდა. ბოლო წლების განმავლობაში დაცული ტერიტორიების მიერ დაკავებული ფართობი 2004 წელს არსებულთან შედარებით (265.85 ჰექტარი) გაორმაგდა და 600.59 ჰექტარი შეადგინა. ამჟამად საქართველოში 87 დაცული ტერიტორია არსებობს, რომელთა შორისაა 14 ბუნებრივი ნაკრძალი, 11 ეროვნული პარკი, 19 ნაკრძალი, 41 ბუნების ძეგლი და 2 დაცული ლანდშაფტი. 2008 წელთან შედარებით დაცული ტერიტორიების მართვა არსებითად გაუმჯობესდა, რაც 4 დაცული ტერიტორიის მართვის გეგმების შემუშავებითაა განპირობებული. ამჟამად კიდევ რამდენიმე მართვის გეგმა შემუშავების პროცესშია. რაც შეეხება აკვატორიულ დაცულ ტერიტორიებს, ამჟამად საქართველოში ასეთი დაცული ტერიტორიები არ არსებობს, თუმცა უკვე ჩატარდა მიზანშეწონილობის კვლევა და მიმდინარეობს ტერიტორიების იდენტიფიცირება.

2012 წლის მონაცემებით საქართველოში სახმელეთო და აკვატური დაცული ტერიტორიების წილი 7.46%-ია, ხოლო მათი ფართობი 520.272.55 ჰექტარს შეადგენს.

2012 წელს მთავრობამ საქართველოს მეორე ეროვნული გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმა დაამტკიცა 2012-2016 წლების პერიოდისთვის" (NEAP-2), რომელშიც პრიორიტეტული გარემოსდაცვითი საკითხებია განსაზღვრული, დასახულია სახელმწიფო ადმინისტრაციის წინაშე არსებული მოკლე და საშუალოვადიანი მიზნები და იდენტიფიცირებულია ინსტიტუციონალური განვითარების საჭიროებები გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების სფეროში. NEAP2 11 პრიორიტეტულ სექტორს მოიცავს. ესენია: 1. წყლის რესურსები; 2. ატმოსფერული ჰაერი; 3. ნარჩენები და ქიმიური სუბსტანციები; 4. შავი ზღვა, 5. ბიომრავალფეროვნებაბ და დაცული ტერიტორიები; 6. მიწის რესურსები; 7. სატყეო სექტორი; 8. მინერალური რესურსები; 9. ბუნებრივი კატასტროფები; 10. ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოება; 11. კლიმატის ცვლილებები.

ცხრილი 13: დაცული ტერიტორიების მიერ დაკავებული ფართობი 2005-2012 წლების პერიოდში [42]

		2005		2008		2012	
	IUCN კატეგორია	რაოდენობა	ჰექტარი	რაოდენობა	ჰექტარი	რაოდენობა	ჰექტარი
სულ		34	430986.5	50	493989.5	68	520272.55
ბუნებრივი ნაკრძალი	I	18	171673	14	141473	14	143218
ეროვნული პარკი	II	4	211003	8	256534	10	277432.51
ბუნების ძეგლი	III	3	314.5	14	314.5	24	795.04
დაცული ნაკრძალი	IV	8	20093	12	61158	18	64119
დაცული ლანდშაფტი	V	1	27903	2	34510	2	34708
დაცული ტერიტორიების წილი, %			**6.18%**		**7.09%**		**7.46%**

2011 წელს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ (MENRP) 2007-2009 წლების გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული ანგარიში შეიმუშავა, რომელშიც კომპლექსურად იქნა გაანალიზებული საქართველოში არსებული ეკოლოგიური ვითარება. შემუშავდა „საქართველოს 2012-2014 წლების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო

გეგმის მდგრადი განხორციელების ხელშეწყობაზე მიმართული გარემოსდაცვითი განათლების გეგმა“, რომელშიც გარემოსდაცვითი განათლების (EE) ჩარჩო და მიმართულებები ჩამოყალიბდა. დასახულია გარემოსდაცვით განათლებაზე მიმართული ძალისხმევის კოორდინირება და საზოგადოებრივი შეგნების ამაღლება მონაწილე და დაინტერესებულ მხარეებს შორის კომუნიკაციის გაზრდის და გარემოსდაცვითი განათლების ღონისძიებების საერთაშორისო მიზნებსა და სტანდარტებთან შეჯერების გზით.

სატყეო სექტორის განვითარების მიმართულებით გადადგმული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი საქართველოს სატყეო სექტორის განვითარების კონცეფციის შემუშავება იყო, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2013 წლის დეკემბერში დაამტკიცა. სატყეო სექტორის განვითარების კონცეფცია მიზნად ისახავს საქართველოს ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, ბიომრავალფეროვნების დაცვას, ტყეების ეკონომიკური პოტენციალის ეფექტურ გამოყენებას, ქვეყნის ეკოლოგიური სიმდიდრის დაცვას და შენარჩუნებას და მისი სოციალ-ეკონომიკური პოტენციალის უკეთ გამოყენებას. 2013 წელს დაიწყო მუშაობა ეროვნული ბიომრავალფეროვნების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე 2014-2020 წლების პერიოდისთვის. მოცემული დოკუმენტი ბიომრავალფეროვნების კონ-სერვაციაზე მიმართული ღონისძიებების კოორდინაციის ჩარჩოს წარმოადგენს.

გარემოსდაცვითი საკითხები სხვა ეროვნულ სტრა-ტეგიულ და პოლიტიკურ დოკუმენტებშია ასახული, მათ შორის „საქართველოს 2020 წლისთვის სოციალ-ეკო-ნომიკური განვითარების სტრატეგიაში“ და „საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამაში 2015-2017 წლებისთვის”.

[42] წყარო: გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

7.2. ამოცანა 15

იმ მოსახლეობის წილის განახევრება, ვისაც სტაბილურად არ მიუწვდება ხელი ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო წყალზე

1999 წელს საქართველომ გაეროს ევროპისათვის ეკონომიკური კომისიის (UNECE) წყლისა და ჯანმრთელობის თაობაზე ლონდონის პროტოკოლს მოაწერა ხელი, თუმცა პროტოკოლის რატიფიცირება არ განუხორციელებია და შესაბამისად, დღეის მდგომარეობით პროტოკოლის მხარეს არ წარმოადგენს. 2014 წელს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ პროტოკოლის რატიფიცირების პროცესი წამოიწყეს და ამჟამად ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს.

ევროპის წყლის ინიციატივის (EUWI) EECCA- ს რეგიონის ქვეყნების სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე (აშხაბადი, 2008 წლის 4 დეკემბერი) საქართველოს წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს საქართველოს მთავრობის მზადყოფნა დაიწყონ ეროვნული პოლიტიკური დიალოგი წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის საკითხებზე 2010-2012 წლების განმავლობაში და თხოვნით მიმართეს გაეროს ევროპისათვის ეკონომიკურ კომისიას (UNECE) მაქსიმალურად მოკლე ვადებში დაეწყო მოსამზადებელი ზომების განხორციელება. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ UNECE-ს მხარეების კონფერენციის სამდივნოს ოფიციალური თხოვნა წარუდგინა წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის ეროვნულ პოლიტიკურ დიალოგში (NDP) ჩართვის თაობაზე.

2010 წლის ნოემბერში წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის (IWRM) ეროვნულ პოლიტიკურ დიალოგში (NDP) მონაწილეობასთან დაკავშირებით მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება დაიწყო, ხოლო 2011 წლის 18 ოქტომბერს თანამშრომლობის თაობაზე მემორანდუმს მოეწერა ხელი. საქართველოში ეროვნული პოლიტიკური დიალოგის ძირითადი მიზანია წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის სტრატეგიული პაკეტების მომზადება და განხaორციელება. კერძოდ, დაგეგმილია ღონისძიებების განხორციელება შემდეგი მიმართულებით:
(1) ინსტიტუციონალური რეფორმების განხორციელების გაგრძელება ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივით გათვალისწინებული პრინციპების განხორციელების და წყლის რესურსების თაობაზე ახალი კანონის მოზმადებისა და მიღების მიზნით;
(2) UNECE-ს წყლის რესურსებსა და ჯანმრთელობის თაობაზე პროტოკოლის მოთხოვნების შესაბამისი მიზნების დასახვა;
(3) აზერბაიჯანთან თანამშრომლობა ტრანსსასაზღვრო წყლის რესურსების სფეროში. ზემოთხსენებული მიმართულებები გულისხმობს საკანონმდებლო აქტების პროექტების მოზმადებას, საუკეთესო პრაქტიკის თაობაზე რეკომენდაციების და შესაბამისი დოკუმენტების შემუშავებას, ინსტიტუციონალური სტრუქტურის ანალიზს, წყლის რესურსების მართვის და წყლის რესურსების უსაფრთხოების გეგმების მომზადებას, გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენის პრევენციაზე, მართვასა და შემცირებაზე მიმართული ზომების ეფექტურობის შეფასებას. გათვალისწინებული იქნება UNECE და EECA-ს ანგარიშები და დოკუმენტები წყლის რესურსების ინტეგრირებულ მართვაზე.

დიაგრამა 12: გამოყენებული წყლის რესურსების საერთო წილი



7.3. ამოცანა 16

საბინაო სექტორის ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან, მათ შორის სოციალური საცხოვრებლის კომპონენტის დანერგვა

საბინაო სექტორში რეგულაციების უქონლობა უკვე დიდი ხანია სახელმწიფო პოლიტიკის თაობაზე მსჯელობის საგანს წარმოადგენს. ახლახანს საქართველოს მთავრობამ „სივრცითი დაგეგმარებასა და საქართველოს სამშენებლო კოდექსზე“ მუშაობა დაიწყო. კოდექსი საუკეთესო ევროპულ გამოცდილებას ეყრდნობა და ხელს შეუწყობს სივრცითი დაგეგმარების და სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროპულ და საერთაშორისო ნორმებთან. კოდექსი ხელს შეუწყობს სამშენებლო ნებართვების გაცემის პროცედურების შემუშავებას და ბიზნესისთვის და მოქალაქეებისთვის პროგნოზირებადი და მდგრადი გარემოს შექმნას. სამშენებლო კოდექსი მოიცავს სივრცით დაგეგმარებას და მშენებლობის დაგეგმვას, განსაზღვრავს შესაბამის იერარქიას და მოთხოვნებს, დაადგენს ნებართვების გაცემასთან დაკავშირებულ პროცედურებს, მშენებლობის მიზნით მიწათსარგებლობის წესებს, შენობა-ნაგებობების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, მშენებლობის ზედამხედველობასთან და შენობების ექსპლუატაციისთვის ვარგისიანობასთან დაკავშირებულ წესებს.

EUROCODES-ის ხუთწლიანი სტრატეგიის შესაბამისად, რომელიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შეიმუშავა, 2019 წლისთვის სამშენებლო ნორმების სრული გადასინჯვა და მათი ევროპულ ტექნიკურ რეგულაციებთან ჰარმონიზაცია იქნება მიღწეული.



MDG 8. გლობალური პარტნიორობა განვითარებისთვის

8.1. ამოცანა 17

ღია, წესებზე დაფუძნებული, პროგნოზირებადი და არადისკრიმინაციული სავაჭრო და საფინანსო სისტემის ჩამოყალიბება

საქართველოს საფინანსო სისტემა საკმაოდ მდგრადი გამოდგა ისეთი ეკონომიკური შოკებისადმი, როგორიცაა გლობალური ფინანსური კრიზისი, კონფლიქტი რუსეთთან და რეგიონული კონფლიქტები. მას საკმარისი ბუფერული ლიკვიდურობა და კაპიტალი გააჩნია. ბაზარზე ძირითადი მოთამაშეები არიან: 21 კომერციული ბანკი (ფინანსური აქტივების 91%), 71 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია (აქტივების 4%) და 15 სადაზღვევო კომპანია (აქტივების 3%). ბანკებს შორის მზარდმა კონკურენციამ, ბაზარზე ეროვნული სავალუტო რესურსების მოსაწვდომობის გაუმჯობესებამ, ასევე საფინანსო და საოპერაციო რისკების შემცირებამ ხელი შეუწყო საპროცენტო განაკვეთების შემცირებას, რაც განსაკუთრებით ეროვნულ ვალუტაში გაცემულ კრედიტებთან მიმართებაშია მართებული.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა რეფორმები გაატარა საფინანსო სისტემის მარეგულირებელი ჩარჩოს გაუმჯობესების, საერთაშორისო რეზერვების მართვის დახვეწის და ბანკთაშორისი ანგარიშსწორების ეფექტური და სანდო სისტემების დანერგვის მიზნით. მნიშვნელოვანი ძალისხმევა იქნა მიმართული მონეტარული პოლიტიკის გაუმჯობესების მიმართულებით. დაინერგა ახალი და გაუმჯობესდა არსებული ინსტრუმენტები (რეფინანსირების სესხები, გარანტირებული რეფინანსირების სესხები, საკრედიტო ხაზები და სხვა). უცხოური ვალუტის აუქციონების მექანიზმმა ხელი შეუწყო გაცვლის კურსის მოქნილობის მიღწევას, ეროვნული ბანკის ინტერვენციის შემცირებას, სპეკულაციური ზეწოლის შემცირებას და ზოგადად უცხოური ვალუტის ბაზრის სტაბილიზაციას. საქართველოს ეროვნული ბანკის გადასინჯული სტრუქტურა რისკებზე დაფუძნებულ ზედამხედველობაზეა ორიენტირებული.

მაღალი დოლარიზაცია კვლავაც რჩება ფულადი გადარიცხვების ძირითად ბარიერად, თუმცა ამ მხრივაც მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა მიღწეული. დედოლარიზაციის პროცესის მხარადაჭერაზე მიმართული ზომები მოიცავს უზურნველყოფის უფრო მოქნილ კრიტერიუმებს სესხების რეფინანსირების შემთხვევაში, რეზერვთან დაკავშირებით უფრო ნაკლები მოცულობის მოთხოვნას ეროვნულ ვალუტაში სახსრებთან დაკავშირებით და რისკის დიფერენცირებულ შეწონას უცხოურ ვალუტაში სესხებთან დაკავშირებით.

2006-2013 წლებში საქართველომ მასშტაბური რეფორმები გაატარა ვაჭრობის სფეროს რეგულაციების გადასინჯვის, გამარტივების და ლიბერალიზაციის მიმართულებით. 2006 წლის სექტემბრიდან საქართველომ საქონლის 85%-ზე იმპორტზე გადასახადი გააუქმა და იმპორტზე გადასახადების რაოდენობა 16-დან 3 – 0%-მდე, 5%-მდე და 12%მდე შეამცირა. ახალი საბაჟო კოდექსი, რომელიც 2007 წლის იანვარში შევიდა ძალაში, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო საბაჟოზე კორუფციის შემცირების, პროცედურების დახვეწის და მათი საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების თვალსაზრისით. ეს ცვლილებები შემდგომ ახალ საგადასახადო კოდექსშიც იქნა გათვალისწინებული, რომელიც 2011 წლის იანვარში შევიდა ძალაში და ასევე საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებასთან იყო ჰარმონიზირებული. მთელ რიგ სხვა მნიშვნელოვან ცვლილებებთან ერთად კოდექსით „კეთილსინდისიერი განზრახვის“ პრინციპი და მიკრო და მცირე საწარმოებისთვის პრეფერენციული საგადასახადო რეჟიმი დაინერგა.

ისეთმა რეფორმებმა, როგორიცაა ლიცენზიების, ნებართვების და გადასახადების რაოდენობის მინიმალიზაცია, არსებითად შეუწყო ხელი ქართული ბაზრის ლიბერალიზაციას. მიუხედავად ზემოთხსენებული რეფორმებისა და ეკონომიკის ზრდის კარგი მაჩვენებლებისა, მოსახლეობის უმეტესობის მდგომარეობა უკეთესობისკენ არ შეცვლილა. ეკონომიკის სწრაფი ზრდის ძირითადი

მამოძრავებელი მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებში ინვესტიციები იყო.

საქართველოს მთავრობა სამომავლო მიზნად გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მიღწევას და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას ისახავს. ამჟამად საქართველოს სასამართლო სისტემა განთავისუფლდა მთავრობის მხრიდან ზეწოლისგან. სასამართლო სისტემის შესაძლებლობების განვითარება და დავების სამართლიანი გადაწყვეტი სუზრუნველყოფა მთავრობის ერთ ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. საქართველოს მთავრობა დავების გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმზე მუშაობს, რომელიც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისი იქნება. გარდა ამისა, ბიზნეს ომბუდსმენის როლის გაზრდა ასევე ეფექტური დამატებითი ზომა იქნება.

2013 წელს საქართველომ ყველაზე მაღალი რეიტინგი მოიპოვა ეკონომიკური თავისუფლების მიხედვით. საქართველო „ზომიერად თავისუფალი" ქვეყნების კატეგორიაში შედიოდა, ხოლო 2013 წელს იგი „ძირითადად თავისუფალი" კატეგორიის ქვეყნებს მიუერთდა. Heritage Foundation-ის შესაბამისად საქართველოს ეკონომიკის რეიტინგი 72.2-ი იყო და ქვეყანამ 21-ე ადგილი დაიკავა 2013 წელს[43] 10 ეკონომიკური თავისუფლებიდან 6 მიმართულებით გაუმჯობესების მიღწევის შედეგად. კერძოდ, გაუმჯობესება იყო მიღწეული სახელმწიფო სახსრების, ინვესტიცირების თავისუფლების, მონეტარული თავისუფლების და საკუთრების უფლების სფეროებში. საქართველომ ევროპის რეგიონის 43 ქვეყანას შორის მე-12 ადგილი დაიკავა და მისი შედეგები რეგიონის საშუალო შედეგებზე ბევრად უფრო მაღალია. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ მსოფლიო ბანკის უკანასკნელი მონაცემებით 2014 წელს საქართველოს ეკონომიკური ზრდა 6,3%-ს შეადგენდა, ნაცვლად 5,0%, როგორც ეს პროგნოზირებული იყო.

მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა საქართველოს კერძო სექტორისთვის და ინვესტორებისთვის მიმზიდველი და სტაბილური საგადასახადო სისტემის დანერგვას ისახავს მიზნად. ასევე განხორციელდა გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება და საგადასახადო სანქციების ოპტიმიზაცია გარკვეული კატეგორიის დარღვევებისთვის. დაბეგვრა საქართველოში მარტივი, ეფექტური და სამართლიანია და საგადასახადო განაკვეთები დაბალია: დღგ - 18%, საშემოსავლო გადასახადი – 20%, სააქციზო გადასახადი - დიფერენცირებული განაკვეთები, კორპორატიული საშემოსავლო გადასახადი – 15%, ქონების გადასახადი -1%, შემოსავლები დივიდენდებიდან და დარიცხული პროცენტები – 5%, საბაჟო გადასახადი - 0%, 5% და 12%.

საქართველოს მთავრობა დახმარებას უწევს კერძო კომპანიებს ახალი შესაძლებლობების გამოვლენაში, მათ ეფექტურ გამოყენებასა და ახალ ბაზრებზე შესვლაში. მთავრობა მომავალშიც აპირებს ვაჭრობის სფეროში არსებული ტექნიკური ბარიერების აღმოფხვრას ეროვნული კანონმდებლობის გადასინჯვის და მისი ევროკავშირის სტანდარტებთან და ევროკავშირი-საქართველოს შორის ხელმოწერილი ასოციირების თაობაზე ხელშეკრულების და თავისუფალი და ყოვლისმომცველი სავაჭრო ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გზით.

საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია სავაჭრო ნაკადების დივერსიფიკაცია. 2008 წელს საქართველომ თურქეთთან თავისუფალ სავაჭრო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომელიც უკვე ძალაში შევიდა. 2009 წლის იანვარში აშშ-საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია გაფორმდა, რომელიც 4 სფეროში, მათ შორის ვაჭრობასა და ეკონომიკაში პარტნიორობას გულისხმობს. გარდა ამისა, 2012 წლიდან საქართველოს და აშშ-ს შორის მაღალი დონის პოლიტიკური დიალოგი მიმდინარეობს ვაჭრობისა და ინვესტიციების საკითხებზე, მათ შორის თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე მოლაპარაკებების დაწყების შესახებ.

2013 წლის 29 ნოემბერს ვილნიუსის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სამიტზე ევროკავშირი-საქართველოს შორის ასოციირების ხელშეკრულების პარაფირება განხორციელდა. 2014 წლის ივლისში საქართველომ ასოციირების ხელშეკრულების და თავისუფალი და ყოვლისმომცველი სავაჭრო ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა (DCFTA). DCFTA 2014 წლის ხელმოწერა და სექტემბერში შევა ძალაში.

საქართველო დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის - GUAM-ის დამფუძნებელი წევრია და იგი აქტიურად უჭერს მხარს ორგანიზაციის ფარგლებში თანამშრომლობას. 2013 წელს საქართველო წარმატებით თავმჯდომარეობდა GUAM-ს და თავისი წვლილი შეიტანა ორგანიზაციის ძირითადი მიზნის მიღწევაში, კერძოდ - წევრ სახელმწიფოებს შორის ძირითად პოლიტიკურ საკითხებზე კონსენსუსის მიღწევა, ერთობლივი პროექტების შემუშავება და განხორციელება საერთო ინტერესების სფეროებში და უწყებათაშორისი თანამშრომლობის ხელშეწყობა, ისეთ ტრადიციულ პარტნიორებთან თანამშრომლობის გაფართოება, როგორიცაა აშშ და იაპონია და სხვა ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან რეგულარული დიალოგიის წარმოება და თანამშრომლობის ფორმატების იდენტიფიცირება.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციას (BSEC) განვითარების უფრო მეტი პოტენციალი ექნებოდა, თუ მისი წევრი ქვეყნების უმეტესობას ერთმანეთთან დაურეგულირებელი პოლიტიკური დავები არ ექნებოდათ. ბოლო ინიციატივებმა, კერძოდ კი, ენერგორესურსების ტრანსპორტირების ინფრასტრუქტურის განვითარებამ, აჩვენა, რომ შავი ზღვის რეგიონს სწრაფი ეკონომიკური განვითარების უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია. რეგიონს კასპიის ენერგორესურსების დასავლეთში სტაბილური მიწოდების არსებითი პოტენციალი და შესაძლებლობები აქვს. ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო პროექტი ევროპასა და აზიას დააკავშირებს BSEC-ის რეგიონის ქვეყნების გავლით. სატრანსპორტო საშუალებების

[43] 2013 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, Heritage Foundation, 2013 წელს ყველაზე მაღალი რეიტინგი ეკონომიკური თავისუფლებების მიხედვით, http://akgul.bilkent.edu.tr/demokrasi/Heritage-economic-freedom-2013.pdf

საერთაშორისო სერტიფიკაციის დანერგვაზე (IVWC) მიმართული საპილოტე პროექტი ასევე ძალიან საინტერესო ინიციატივაა და იგი BSEC-ის რეგიონს კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის. საქართველოს აზრით, BSEC სატრანზიტო ნებართვის პროექტი ხელს შეუწყობს ქვეყნებს შორის ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობის გაფართოებას. საქართველო ასევე სამოდელო გზატკეცილის ინიციატივას უჭერს მხარს. 2013 წელს საქართველოს საგარეო ვაჭრობამ BSEC-ის წევრ ქვეყნებთან 5 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა და 12.6%-ით გაიზარდა.

ცხრილი 14: საქართველოს საგარეო ვაჭრობა [44]

საქართველოს საგარეო ვაჭრობა (მილიონი აშშ დოლარი)								
	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013*
ექსპორტი	936.4	1,232.1	1,495.3	1,133.6	1,677.5	2,189.1	2,375.4	2,908.4
იმპორტი	3,674.8	5,212.2	6,301.5	4,500.2	5,257.1	7,057.8	7,901.6	7,8852
საგარეო ვაჭრობის ბრუნვა	4,611.2	6,444.3	7,796.9	5,633.9	6,934.6	9,246.9	10,277	10,7936
საგარეო ვაჭრობის ბალანსი	-2738.4	-3980.1	-4806.2	-3366.6	-3580	-84868.7	-5526.2	-4976.8

დიაგრამა 13: ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნები 2013 წელს [45]



[44] ეროვნული სტატისტიკის სამსახური (*წინასწარი მონაცემები)
[45] ეროვნული სტატისტიკის სამსახური

დიაგრამა 14: ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები 2013 წელს [46]



ცხრილი 15: საქართველოს ექსპორტი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით [47]

	საქართველოს ექსპორტი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით, მილიონი აშშ დოლარი							
	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013*
მთლიანი ექსპორტი, საიდანაც:	936.4	1,232.1	1,495.3	1,133.6	1,677.5	2,189.1	2,375,4	2,908,4
ევროკავშირის ქვეყნები (EU_28)	157,9	268.5	335.2	237.6	309.5	424.3	353.0	607.9
დსთ (CIS)	391.1	461.9	540.9	416.2	676.7	1,052.7	1,244,1	1,620.9
შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრ ქვეყნები (BSEC)	499.2	634.4	884.0	697.2	898.2	1,184.7	1,329,1	1,776.8
ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნები (OECD)	388,2	598,6	749,6	519,6	743,0	817,1	794,4	840.0
GUAM-ის ქვეყნები	146.0	232.5	338.7	251.2	374.4	577.6	805.3	917.0

ცხრილი 16: საქართველოს იმპორტი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით[48]

	საქართველოს იმპორტი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით, მილიონი აშშ დოლარი							
	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013*
მთლიანი ექსპორტი, საიდანაც:	3,674.8	5,212.2	6,301.5	4,500.2	5,257.1	7,057.8	7,901,6	7,885,2
ევროკავშირის ქვეყნები (EU_28)	947,8	1,538,9	1,756,5	1,335,5	1,4672	2,053,1	2,426	2,270,3
დსთ (CIS)	1,398.6	1,849.4	1,998.0	1,298.3	1,587.6	1,941.6	2,056,7	2,177,8
შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრ ქვეყნები (BSEC)	1,950.1	2,653.2	2,981.5	2,288.1	2,620.2	3,553.3	3,821,4	3,966,6
ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნები (OECD)	1,686,6	2,322,8	3,027,2	2,233,3	2,533,6	3,410,9	3,956,3	3,818,0
GUAM-ის ქვეყნები	642.5	961.1	1,269.4	835.4	1,050.1	1,322.6	1,297,4	1,266,5

[46] ეროვნული სტატისტიკის სამსახური
[47] ეროვნული სტატისტიკის სამსახური (*წინასწარი მონაცემები)
[48] ეროვნული სტატისტიკის სამსახური

8.2. ამოცანა 18

ვალთან დაკავშირებული პრობლემების თანმიმდევრული გადაჭრა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე შესაბამისი ზომების გატარების გზით, რათა შესაძლებელი გახდეს ვალთან დაკავშირებული საკითხების გრძელვადიან პერსპექტივაში მდგრადად მოგვარება

2013 წლის ბოლოს საგარეო სახელმწიფო ვალი 4,202 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, რაც საქართველოს მშპ-ს 27%-ს და მთლიანი სახელმწიფო ვალის 78%-ს შეადგენს, საიდანაც 54% მულტინაციონალური კრედიტორების ვალია (საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები), 14% - ბილატერალური დონორების, ხოლო 10% კი 2011 წელს გამოშვებული სუვერენული ევრობონდების ვალია. ყველაზე დიდი მულტინაციონალური კრედიტორები არიან მსოფლიო ბანკი, აზის განვითარების ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ხოლო ყველაზე მსხვილი ბილატერალური კრედიტორი არის KfW. მხოლოდ 1 გარანტირებული სესხია გამოყოფილი, რომელიც საგარეო ვალის პორტფელის 0.07%-ს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ საგარეო ვალის უმეტესი ნაწილი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოყოფილი გრძელვადიანი სესხია კონცესიურ პირობებზე (საშუალო საპროცენტო განაკვეთი 1.9%, პორტფელის სესხების 73%-ს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი აქვს და მათი უმეტესი ნაწილი, ანუ დაახლოებით 48%-ი SDR-შია დენომინირებული, რაც ვალუტის ყველაზე სტაბილური კალათაა), საქართველოს მთავრობა ცდილობს ეტაპობრივად შეამციროს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალის წილი, რადგანაც საშინაო ვალის წილი იზრდება. როგორც უკვე ღინიშნა, საქართველოს საგარეო ვალი შედარებით დაბალია და პროგნოზების შესაბამისად მისი მოცულობა საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში მშპ-ს 40%-ზე ნაკლებ დონეზე შენარჩუნდება (2013 წელს - 34.7%). ვალის მშპ-სთან თანაფარდობა სტანდარტული შოკების პირობებში დაღმავალი ტენდენციით ხასიათდება.

ცხრილი 17: საგარეო ვალი [49]

მილიონ აშშ დოლარში	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
საგარეო სახელმწიფო ვალი	1,697	1,790	2,691	3,382	3,937	4,201	4,357	4,202
საგარეო ვალის მომსახურეობა (ექსპორტის %)*	21.0%	8.9%	5.6%	12.2%	8.9%	8.0%	5.8%	9.4%
ODA სესხების გამოყოფა **	16.1	12.1	14.8	34.7	21.6	36.3	55.4	69.4
O/W გაერთიანებული სესხების გამოყოფა	16.1	12.1	10.6	28.3	21.6	35.4	43.0	50.2

8.3. ამოცანა 19

ქვეყნის მასშტაბით საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მისაწვდომობის გაუმჯობესება, ქალაქებსა და რაიონებს შორის ციფრული უთანასწორობის მინიმალიზაცია

ელექტრონული მმართველობა[50] მნიშვნელოვან როლს ასრულებს საჯარო სექტორის რეფორმირების პროცესში. გაეროს ელექტრონული მმართველობის კვლევის შესაბამისად ბოლო წლებში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული.

ცხრილი 18: გაეროს ელექტრონული მმართველობის კვლევა, 2014 [51]

	რეიტინგი 2014	რეიტინგი 2012	რეიტინგი 2010	რეიტინგი 2008
E- მმართველობა	56	72	100	90
E- მმართველობა	49	66	127	135

[49] წყარო: ფინანსთა სამინისტრო (* არ შეიცავს საქართველოს ეროვნული ბანკის IMF-ის სესხს 2008 წლის ევრობონდის სესხის დაფარვასთან დაკავშირებით, რაც 2011 წელს ახალი ევრობონდების გამოშვებისთვის გამოყოფილი თანხიდან დაფინანსდა; მულტილატერალური კრედიტები არ მიეკუთვნება ODA-ს).

[50] საქართველოს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს გახსნის თაობაზე ელექტრონული მმართველობის შემდეგ დეფინიციას შეიცავს: "სახელმწიფო მმართველობის ელექტრონული (ციფრული) საშუალებებით განხორციელება საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გზით."

[51] UN E-მთავრობის კვლევა, http://unpan3.un.org/egovkb/en-us/Data/Country-Information/id/64-Georgia

სწორად განხორციელებულმა რეფორმებმა და ელექტრონული მმართველობის აქტიურმა განვითარებამ წარმატება მოუტანა ქვეყანას, რაც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ იქნა აღიარებული და ინდექსებში აისახა. მსოფლიო ბანკის "Doing Business" ანგარიშის შესაბამისად საქართველო ბოლო 3 წლის განმავლობაში პირველ ადგილზეა საკუთრების რეგისტრაციის კატეგორიაში[52]. საინფორმაციო სისტემების აქტიური დანერგვის შედეგად სახელმწიფო სექტორის ოპტიმიზაცია და გამჭვირვალეობა იქნა მიღწეული. ამჟამად საქართველოში საკუთრებისა და ბიზნესის ერთ საათში დარეგისტრირებაა შესაძლებელი.

მთავრობის ფუნქციებში ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო, კერძო და სამოქალაქო სექტორში ინოვაციების სტიმულირება შედის. საქართველომ გაეროს საჯარო სამსახურის ჯილდო მიიღო 3 ნომინაციაში: იუსტიციის სახლი, ელექტრონული შესყიდვები და საჯარო მოხელეების ქონების დეკლარირების პროექტი.

ამჟამად სწრაფი ცვლილებები საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებასა და გამოყენებაში სერიოზულ გამოწვევებს ქმნის ქალაქებსა და რაიონებს შორის ციფრული ნაპრალის გაჩენის თვალსაზრისით. პოტენციურად, საინფორმაციო ტექნოლოგიებს შეუძლიათ რაიონებში მცხოვრები თემები ორი მიმართულებით წაიყვანონ: ერთის მხრივ, საინფორმაციო ტექნოლოგიებს შეუძლიათ რაიონებში მცხოვრები მოსახლეობისა და ბიზნესების განვითარების ხელშეწყობა და ქალაქებსა და რაიონებში მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ერთმანეთთან დაახლოება, ხოლო მეორეს მხრივ, შესაძლებელია რაიონები კიდევ უფრო ჩამორჩნენ და მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის თვალსაზრისით კიდევ უფრო მკვეთრი სხვაობა გამოვლინდეს ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობას შორის. დოკუმენტი: „ციფრული საქართველო - e-საქართველო: 2014-2018 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა" ნათელი ილუსტრაციაა იმ გზისა, რომელიც საქართველოს მოდერნიზაციას შეუწყობს ხელს. იგი ასევე გვთავაზობს საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელშეწყობით სოციალური ცვლილებების ჩარჩოს.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა საქართველოს ერთერთ პრიორიტეტს და ქვეყნის მიერ ნაკისრ ვალდებულებას წარმოადგენს. საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო ასოციაციის (ITU) და ევროკავშირის გადაწყვეტილებით ევროპის ქვეყნები, მათ შორის საქართველოც, ციფრულ მაუწყებლობაზე 2015 წლის 15 ივნისიდან უნდა გადავიდნენ. ამ ვალდებულების შესრულების მიზნით 2014 წელს საქართველოს მთავრობამ „ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმა და რეკომენდაციები" შეიმუშავა და დაამტკიცა. იმავე წელს, შესაბამისი ცვლილებები იქნა შეტანილი

[52] მსოფლიო ბანკი/IFC. ბიზნესის კეთების ანგარიშები, 2012, 2013, 2014.

საქართველოს კანონში ელექტრონული კომუნიკაციების თაობაზე და მაუწყებლის თაობაზე კანონში მათი ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით. 2014 წელს ჩამოყალიბდა ციფრული მაუწყებლობის სააგენტო, რომელიც ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის კოორდინირებაზე და სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის დახმარების გაწევაზე იქნება პასუხისმგებელი.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ელეტრონული კომუნიკაციების სექტორის შემდგომი განვითარების, ქვეყნის ფართოზოლოვანი ინტერნეტით მოცვის, რეგიონებსა და ურბანულ ტერიტორიებს შორის ციფრული ტექნოლოგიების სფეროში არსებული განსხვავების აღმოფხვრის და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების მიზნით გრძელვადიანი განვითარების ტექნოლოგიების გამოყენების გზით (LTE). ზემოხსენებულ პერიოდში დაინერგა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ელექტრონული სერვისები, მათ შორის საქართველოს სახელმწიფო არქივში დაცული ტექნიკური დოკუმენტაციის ელექტრონული წვდომა, ელექტრონული დეკლარირება საქართველოს შემოსავლების სამსახურში, ელეტრონული აუქციონები სახელმწიფო შესყიდვებისა და ქონების მართვის სააგენტოში, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ელექტრონული შედგენა, ანგარიშსწორების კარგად განვითარებული ონლაინ-სისტემა და სხვა.

2013 წელს საქართველომ „ინოვაციური საქართველოს სტრატეგია - 2020“-ზე მუშაობა დაიწყო. სტრატეგია ტექნო-პარკების, ბიზნეს და ინოვაციების ცენტრების ჩამოყალიბებას ითვალისწინებს, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ინოვაციების დანერგვის გზით. საბოლოო მიზანია ინტელექტუალური პროექტების და ინოვაციების საექსპორტო პროდუქტებად ჩამოყალიბება, საინფორმაციო ტექნოლოგიების შემდგომი განვითარება და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გაზრდა. ზემოხსენებული სტრატეგიის შემუშავებას სამინისტრო ზედამხედველობდა.

დიაგრამა 15: საქართველოში ICT სექტორის სტატისტიკური ინდიკატორები



ცხრილი 19: ICT რეიტინგი

	2014 რეიტინგი/ქულა	2013 რეიტინგი/ქულა	2012 რეიტინგი/ქულა	2011 რეიტინგი/ქულა
ქსელის მზაობის ინდექსი	60/4.09	65/3.93	88/3.60	98/3.45
ICT განვითარების ინდექსი	-	-	71/4.59	73/4.24
გლობალური ინოვაციების ინდექსი	-	73/35.56	71/34.30	73/35.87